ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პრასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფ. № 15—73.
მ. სამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე.

ოთხშაბათი, ენკენისთვის 29. 1920 წ. № 108

ფასი 10 მანეთი

ეროვნულ-დემოკრატიული

✖✖ პარტიის მთავარი კომიტეტი ✖✖

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

სექტემბრის ბო
ლო რიცხვებში
თელავსა და სიღნაღში
გამართება
ცისფერი ყანწების
საღამო

სიტყვებსა და ლექსებს იტყვიან:
გრიგოლ რობაქიძე
ტიციან ტაბიძე
პაოლო იაშვილი
გ. ლეონიძე.

სახალხო სახლი

დღეს, 29 ენკენისთვეს, სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

დრამა 5 მოქ. შილლერისა.

დასაწყისი 8 საათზედ. 1—1

მე-2 სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პროსპ. № 21)

დანიშნულია ხელახალი საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის ბუფეტების იჯარით გასაცემად, რადგანაც პირველი შეჯიბრება არ შესდგა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარ 70.000 მანეთი ბედ. პირობების გაცნობა თეატრის კონტორაში ყოველ დღე დილის 10 -12 საათამდე. 2—47—1

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ გამგეობის აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ ბინების გამოკვლევა—დათვალიერება, თვითეულ კერძო შემთხვევაში, აღჭურვილი იქნებიან გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერით დასახელებული სახლის ანუ ბინის გასინჯვის შესახებ.

ქალაქის გამგეობა.

პერმანენტული რევოლიუცია.

სხვისი საკუთრების ჩამორთმევა—ეს რევოლიუციის წესი—უფლებრივ ნორმად დაედო საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებას და იგი მოქმედობს, როგორც ჩვეულებრივი კანონი; ასე რომ საქართველოში, ამ მხრივ, მუდმივი რევოლიუცია დგას. ამ წესის დაკანონება მოხდა 1919 წლის 11 ივლისს, როდესაც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი უძრავი ქონებათა იძულებითი ჩამორთმევისა. პრინციპს რომ თავი დავანებოთ, ეს კანონი დაუმუშავებელია, როგორც კანონი. არ არის მოხაზული მისი ფარგლები, არ არის ჩამოყალიბებული მისი გამოყენების პირობებიც. ასეთი კანონები ყოველთვის თვითნებობის, უკანონობის წყაროდ ხდებიან. უფლების სუბიექტებს, ამ აღნიშნული კანონით, შეუძლიათ მეტად ფართეთ და ბოროტად გამოიყენოს მისი სიტყვა და ამავე დროს კანონიერების ფარგლებში კი დარჩნენ! ჩვენ არა ერთი და ორი წერილი უძღვენით ამ კანონის ნაკლს და მისი გადასინჯვა მოვითხოვეთ. მაგრამ ჩვენში გასავალი არ აქვს არც ლოღიკის ნორმებს, არც არგუმენტებისა და ფაქტების მეტყველებას. სამართალს და მოქმედების კანონიერებას ჩვენში ადგენს ,,ძალთა განწყობილება'', ,,ამართული თითები''.

სამაგიეროთ ეს კანონი კარგათ ემსახურება იმ ფარულ მიზანს, რომელიც მას დაუსახეს მისმა ავტორებმა. თვითმოქმედების და შემოქმედების უნარ მოკლებულმა თვითმართველობებმა ამ კანონით საარსებო წყარო გაიჩინეს: ზოგან სხვის წარმოებაში იძულებით და მუქარით წილი დაიდვეს, ზოგან ეს წარმოება სულ ჩამოართვეს, ზოგან კიდევ მთელი ქალაქის მესამედზე მეტი ნაწილი დაისაკუთრეს. ამისთვის ბევრი არაფერია საჭირო: სამაზრო ერობის ყრილობისა და ქალაქის საბჭოს უბრალო რეზოლიუცია! მოტივი კიდევ უფრო მარტივია: ,,მე მინდა—შენ გაქვს'' უნდა მოხდეს გადაჯგუფება ქონებისა. რა უყოთ რომ, ვისაც ,,უნდა'', იმას არაფერი შეუქმნია და ვისაც აქვს იმას რომ ეკარგება მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეძენილი ქონება და თვის ცოლშვილით ქუჩაში რჩება, ძალმომრეობის უმწეო მსხვერპლი! სხვისი ქონების შოვნის იმედით, ერობა თხზავს ფონტასტიურ გეგმას და შორეული კომფორტის მოწყობის ზმანებაში, დღეს სპობს და ანადგურებს უდანაშაულო მოქალაქეს. არის ერობა, კონკრეტიული მაგალითი გვაქვს სახეში, რომელიც მოხელეების ჯამაგირს ვერ აუდის, რომელსაც, უკაცრაული პასუხია, ,,ფეხის ადგილიც'' ვერ აუგია და იმავე დროს თხზავს სახალხო სახლისა, საავადმყოფოსი, სანატორიუმისა, ქალაქის ბაღისა თეატრისა და სხვა ამგვარ სასურველი დაწესებულებების გეგმებს და რომელიც კონკურს აცხადებს, რომ ხუროთმოძღვრების უკეთესი, უკეთესი ნიმუში აირჩიოს... ამგვარ მოტივებს წინ აბა ვისი საკუთრება დაუდგება და ერობის ხელში გადადიან, სასაცილო სასყიდლით, რომელიც უფრო პატრონის შეურაცყოფისათვის არის შემოღებული, მოქალაქეთა ცეხოებზე სახლები, მაღაზიები, ფარდულები და სხვა... ბოლოს ირკვევა, რომ ერობა ვერაფერს ვერ აშენებს, იგი ვერ ახერხებს მაზანში ამოლებული მაღაზიების დანგრევას და მათ ადგილზე დიდი სახალხო სახლის აშენებას. მერე ,ერობა ამ მაღაზიებს გააქირავებს და შემოსავალს ჯიბეში იდებს. პატრონმა კი, რომელმაც იგი გააშენა, შიდ საქონელი დასდო, ივაჭრა და ქალაქი შექმნა, ამ პატრონმა კი გუდა ნაბადი უნდა აიკიდოს და ეძიოს ,,ნავთ საყუდარი''!...

ესაა ეკონომიური პოლიტიკა ჩვენი თვითმართველობის, მოწონებული მთავრობის მიერ და მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ!...

კარგი ამშენებლობაა!

ერთი ღირსება ჰქონდა ამ კანონს: არ იყო სახელდადებით ნახსენები, რომ თემსაც ჰქონდა უფლება ესარგებლა ამ კანონით: ამიტომაც, თუმცა ჭამის მადა თემს მაზრის ერობაზე ნაკლები არ ჰქონდა, მაგრამ მადის დამაკმაყოფილებელი იარაღი აკლდა. თემი თვისას მაინც არ იშლიდა: გამოჰქონდა რევიზიის დადგენილებანი, მაგრამ მისი შუამდგომლობა მთავრობის დასტურს ასე ადვილად არ ღებულობდა... მაინც მრავალი გაუგებრობა წარმოშვეს თემების პრეტენზიებმა. ბოლოს იუსტიციის მინისტრმა სენატს მიანდო თემის კომპეტენციის გამორკვევა 11 ივლისის კანონის მიხედვით. მომხსენებლად იყო სენატორი ბ-ნი გრ. გველესიანი. სენატმა ივლისის 13-ს უარყოფითად გადაჭრაეს საკითხი, მაგრამ დამატებით განმარტებაში მან თემს უჩვენა მიზნის მისაღწევი გზა: ამისათვის თემმა უნდა შუამდგომლობა აღძრას სამაზრო ერობის წინაშე, რომ ამ უკანასკნელმა მოიხმაროს თვისი უფლება უძრავ ქონების ჩამორთმევისა თემის საჭიროებისთვის...

ამრიგათ თემმა იგდო იარაღი თვის მადის დაკმაყოფილებისათვის! მაზრის ერობა თემის ერობის გაგრძელებაა პსიხოლოგიურად. თემის საჭიროებას იკითხავთ, რამდენიც გნებავთ: სათემო საავადმყოფო, სათემო სანატორიუმი, სათემო ბიბლიოთეკა, სახალხო სახლი, თეატრი, საჯინიბე თემის მილიციონერებისათვის და კიდევ ყველაფერი იხ, რაც ომის მოღვაწეთა ფანტაზიას მოელანდება... თქვენ ნახავთ, სენატის ამ განმარტების შემდეგ, რა გახურებული ჩამორთმევა გაჩაღდეს. პერმანენტული რევოლუცია უფრო გაღრმავდა და გაგანიერდა...

ამ შემთხვევაში სენატის წყალობით...

მომარაგების სამინისტროში

3.

ერაძეს კონტროლი არ უყვარს.

კონტროლი არ უყვარსთ არც უწყების ცენტრალურ დაწესებულებებს და არც მის რწმუნებულებს პროვინციაში. მაგრამ როდესაც დაიძლევა ერთისა და მეორის წინააღმდეგობის უნარი და კონტროლი მათ საქმეში შეიჭრება, ყოველგან აღმოჩნდება, გარდა უთავბოლობისა, ბოროტმოქმედება და ანგარიშის უქონლობა. ასე მაგალითად, ბათომის რწმუნებულს კ ხელაძეს არ აღმოაჩნდა 540 ფუთი „მანიკრუპა“, რომელიც, კახელაძის ვერსიით, თურმე ისე გაფუჭებულა, რომ გადაუყრიათ, ხოლო, რევიზიის ცნობით, თურმე განზე გაყიდულა!..

გორის რწმუნებულს გრ. შანშიაშვილს არ აღმოაჩნდა 412 ფუთი ბრინჯი, დააკლდა ნაღდ ფულად 59.580 მანეთი და ამაზედ ბევრად მეტი ღირებული საქონელი, რომელიც მას გაცვლა გამოცვლის საწარმოებლად სამინისტროსაგან ჰქონდა მიღებული. სამაგიეროთ ბათომის რწმუნებულს კახელაძეს კასაში 204.000 მან. მეტი აღმოაჩნდა.

ზოგს—მეტი, ზოგს—ნაკლები, ზოგს—სულ არა და ყოველგან უთავბოლობა, უპატრონობა აი მდგომარეობა მომარაგების სამინისტროს ადგილობრივი ორგანოებისა!.

მაგრამ რა გასაკვირია, მომარაგების პროვინციის ორგანოები კონტროლს გაურბოდნენ, და როდესაც მას ანგარიშს წამოუდებდნენ, მაშინ ასე შერცხვენილი გამოდიოდნენ, როდესაც თვით მინისტრი და სამინისტროს ცენტრალური უწყება ებრძვის კონტროლს და თვალის დასანახავად არ უნდა იგი! კონტროლმა მიმართა მომარაგების სამინისტროს, დაარსებიდან ერთი თვის შემდეგ, 3 დეკემბერს 1919 წელს, ეცნობებია, თუ რა წესით ახდენდა თავის წინამოადგილის, საქართველოს მომარაგების მთავარი სამმართველოს საქმეთა ლიკვიდაციას, როგორც ფიქრობდა იგი თვითონ მომარაგების მოწყობას და რა და რა ადგილას ჰქონდა ან ექნებოდა გამართული საწყობები, მომარაგების სამინისტრო მხოლოდ 27 იანვარს 1920 წელს გასცემს პასუხს, მაგრამ საწყობების შესახებ არაფერს იტყვის. მაშინ კონტროლი 9 თებერვლის თარიღით ხელ-ახლავ მოითხოვს ამ ცნობებს და ამავე დროს აღძრავს საკითხს, რომ მომარაგების სამინისტროს მოქმედება დაქვემდებარებოდა კონტროლის წინასწარსა და ფაქტიურ რევიზიას. აქ იწყება მომარაგების მიუკარებელი ხასიათი და წინააღმდეგობის სიჯიუტე.

კონტროლის 27 იანვრის თარიღით დაყენებულ საკითხზე შესახებ საწყობებისა მომარაგების სამინ. მხოლოდ ვიგნ. იძლევა საჭირო ცნობებს, რაც შეეხება მის მოქმედებათა და კონტროლისადმი დაქვემდებარებას, ამაზედ მომარაგების სამინისტრო უპასუხებს 18 თებერვალსა და 21 მარტს; ეს პასუხი არ არის კეთილ განწყობილი. სამინისტრო აღნიშნავს, რომ რევიზიის წესდება მის მოქმედებას ვერ მიუდგება, ვინაიდან მისი საქმე ცოცხალი საქმეა და ფორმალობა მას ხელს შეუშლიდა! ეს აშკარა უაზრო თქმაა და ამავე დროს არ დამორჩილება და არცნობა იმ ხაზის კონტროლისა და რევიზიის იმ წესებისა, რომელიც დამტკიცებულია დამფუძნებელი კრების მიერ და ყველასათვის სავალდებულო მთელს საქართველოში. ამავე დროს სამინისტრო თავის პასუხში ამბობდა რომ ანგარიშის მიცემა (отчетность) უნდა ხდებოდეს მხოლოდ წლიური ანგარიშის მიხედვით და ისიც უდოკუმენტებოთ. მომარაგების სამინისტრომ მოისურვა ამ რიგათ სრული თავისუფლება და ფაქტიურად სრული უკონტროლობა!

სამინისტრომ ხელში ჩაიგდო მთელი რესპუბლიკის სავალიუტო საქონელი, მილიარდების ღირებულება, მთელი საგარეო ვაჭრობა, იგი ხშირად ერთ დღეში რამოდენიმე ათეულ მილიონს გადატრიალებს და რესპუბლიკას, კონტროლის სახით, არ უნდა შეეძლოს, როცა უნდა მაშინ ჩაიხედოს თავის სამინისტროში! რომელი რიგიანობა, რომელი სახელმწიფოებრივი შემეცნება, რომელი დემოკრატობა და ვისი რეალური ინტერესი მოითხოვს ამას, ბ-ნო მინისტრო? მხოლოდ წლის ბოლოში ბალანსის შედგენისა და შემოწმების შემდეგ ე. ი. დაახლოვებით საბიუჯეტო წლის გათავებიდან 5-6 თვის შემდეგ, მოდი გადახედე ჩემს საქმეებს და ისიც უდოკუმენტებითო! ასე ვვასწავლეს მონღოლიური დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესის დაცვა ბ-ნმა შრედერებმა, მანდელშტამებმა, იასნებმა, და მათმა მოძმეებმა, რომელნიც გარს გისხდნან, როგორც ,,მთვარეს ვარსკვლავთ კრება?!!

ერაძემ არ მიიღო და უკან გამოაბრუნა კონტროლის რევიზორი, რომელიც გაგზავნილი იყო კასის საუცებო შემოწმების მოსახდენათ! მიზეზად ის მოსდის რომ საოპირაციო დროს კასის რევიზია შეაფერხებს ოპერაციის მსვლელობასო... თუმცა შემდეგ, როდესაც კონტროლმა მთავრობის თავმჯდომარე მოიშველია და მომარაგების წინააღმდეგობა მოსტეხა და მთელი ხუთი დღე აწარმოვებდა რევიზიას, სწორედ საოპერაციო დროს, ოპერაციის მსვლელობას ხელი არაფრით არ შეშლია?! მაშ რა უნდა ყოფილიყო პირველად კონტროლის რევიზორის უკუგდების მიზეზი?! დღესაც არავინ იცის, მინისტრმა მიიღო თუ არა ზომები იმ დეფექტების თავიდან ასაშორებლად, რომელიც რევიზიამ აღმოაჩინა კასის უეცარი რევიზიის დროს.

მომარაგების ეს მეთოდი და მისი ამგვარი საქმიანობა გუშინ არ დაწყებულა! თითქმის ერთი წელიწადია, რაც ამ უმეზავსობას ადგილი აქვს; წელიწადია, რაც ეს ვაკხანალია ხდება. წელიწადია, რაც ხალხის მილიარდებს არც გაფრთხილება ჰქონია და არც ზედამხედველობა. ამ ანარქიაში თანდათან იშლება ჩვენი ეკონომიური ცხოვრება; ყოველ დღეს, უკეთესობის მაგიერ, უარესობა მოაქვს და აქამდის არავის ამოუღია ხმა იმ წრიდან, რომელსაც ეს ამბები აუცილებლად უნდა სცოდნოდა ასეთ პირობებში სუნთქვა შეუძლებელი ხდება. ქვეყანა ვერ აიცდენს ეკონომიურ კატასტროფას და დაიღუპება, როდესაც მის წინააღმდეგ ერთად შეთქმულან უვიცობა, უკონტროლობა და ფარულობა.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ სახელმწიფო კონტროლის პასიობა. ამ პასიობას უდევს ბრალი იმ უთავბოლობის და ქაოსის ზრდა—განვითარებაში, რომელსაც ადგილი აქვს მომარაგებაში„ დროზედ დაძახილ „შესდეგს და ჩამორეკილ ზარებს ერის და ქვეყნის დახსნა შეუძლიან.

კონტროლი და მივგაჩნდა ერთად-ერთ იმედათ ამ ჩვენს, უცოდინარობისა და გამოუცდელობის ბატონობის ხანაში, როდესაც ქვეყანას „ბოსიაკი“ ,,ხუნხუზი'' და ,,გალიორკა'' განაგებენ; და კონტროლმაც მოლოდინი ვერ გაგვიმართლა! ჩვენდა სამწუხაროთ, დიდათ სამწუხაროდაც მან ვერ დაგვანახა თვისი შეუპოვრობა მინიჭებული უფლების ფარგლებში, და ვერ მოგვცა დამოუკიდებელი მოქმედების მაგალითები.

ნუ თუ სიმძიმე რამე აწევს კონტროლს, ნუ თუ ,,თვალი და ყური'' დაუვსეს რესპუბლიკას...

პრესსა

,,კაჩეგარების'' რესპუბლიკა

ჩვენ ვთქვით: ,,მთავრობა მარტო ფიზიკური შრომის წარმომადგენლებს უწევს ანგარიშს, მთავრობა მხოლოდ მათი იდეოლოგია. მათ უთმობს და მათ ჰმოსავს პრივილეგიით''.

და განა ჩვენ მართალნი არ ვიყავით? შეხედეთ საქართველოს საზოგადოებრივ წრეებს და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა, ვინც მუშათა კლას არ ეკუთვნის და თავისი შრომა მხოლოდ მარჯვენა ხელის ენერგიაზედ არ დაუმყარებიათ, ყველამ, ვინც აზროვნების და კულტურის მოსამსახურებთ გამხდარან, ზურგი უნდა მოლუნონ ცხოვრების აუტანელი პირობების ქვეშ.

ფიზიკური შრომის უპირატესობა—დევიზია საქართველოს მთავრობის სოციალური პოლიტიკისა—კულტურულ სახელმწიფოში, რასაკვირველია ასეთი დევიზით ვერც ერთი პარტია ვერ გაბედავდა გამოსვლას, რადგან ეს იქნებოდა უდიდესი უკულტურობა, მაგრამ დალოცვილ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფოს მართველი პარტია შესაძლებლად სცნობს ასეთს განცხადებას:

ჩვენ რომ განსაკუთრებულ ,,ყურადღებას ვაქცევთ მუშებს და ,,ქუჩებს'', ეს სრული სიმართლეა. მთავრობას ეს დადებით მხარეთ უნდა ჩაეთვალოს, ვინაიდან მუშაა ის მთავარი ძალა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს და იცავს ჩვენს რესპუბლიკას''.

ქართველი მენშევიკების აზრით, პროფესორი, ექიმი, მეცნიერი, ან მწერალი ეს ისეთი ელემენტია, რომელიც შეიძლება იყოს შეიძლებაარა—ამით საქართველოს მუშათა რესპუბლიკას არაფერი დააკლდება.

და აკი ასეც არის: მუშა, რომელიც თავისი მარჯვენით მუშაობს 8 ათას მანეთს იღებს, ხოლო ისეთი სპეციალისტი, როგორც ობსერვატორიის დირექტორი, რომელსაც თავისი სიცოცხლე მეცნიერების შესწავლაში მოუხუცებია, 5 ათას მანეთამდე უნდა იღებდეს რადგან გეზეთ ,,ერთობის აზრით!:

,,კაჩეგარს'' მასზედ უკეთ ესმის მნიშვნელობა და ფასი განათლების. მას უკეთ ესმის ქვეყნის ინტერესები''

ასეთ ცინიზმამდე ჯერ ველურ ბოლშევიკების რუსეთშიც კი არ მისულან სადაც ასეთ განცხადებას რაიმე გამართლება მაინც ექნებოდა.

მაშინ როდესაც სოვნარკომის საგანგებო დეკრეტით ყველა სპეციალისტები, მწერლები და მეცნიერნი პირველ კატეგორიის მოქალაქეებათ არიან აღიარებულნი, ქართველი მენშევიკები აცხადებენ:

,,გაუმარჯოს კაჩეგარს''!

ამ საკითხს, რომელიც „ერთობას“ ჩვეულებრივი დემაგოგიით სურს თავიდან აიცილოს დიდი პრინციპიული მნიშვნელობა აქვს და საქართველოს სოციალური აღმშენებლობის ქვა კუთხედია.

ამიტომ, ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით მას, მაგრამ დღეს გვინდა ,,ერთობას'' ვკითხოთ:

ახსოვს, თუ არა მათ თავისივე ძველი ლოზუნგი:

ძმობა, ერთობა, თანასწორობა—

და როდესაც კაჩეგართა კლასი საქა-

სახელმწიფო ოპერა

სეზონი 1920—21 წ.

დასის შემადგენლობა:

(ანბანზე)

ქალები:

სოპრანო:

ალეშკო მ. ი.
ბაიარსკისა ნ. ე.
ბურაგო-ცეხანოვსკისა ვ. ვ.
ვალკონსკისა
ვოლ-ლევიცკისა ა. ს.
ვიშემირსკაია ცაგარელი მ. ა.
მანდენოვისა ს. გ.
მაზოვეცკისა ნ. გ.
მასტი ფ. გ.
კალანდაძე ო. ს.
რიხი ო. ლ.
ოქროპირიძე
სპრიშევსკისა დ. ტ.

მეცო-სოპრანო:

ერმოლინსკაია ა. ა.
პანინა ნ. ი.
იანსა მ. ა.
შელუდკოვსკაია ნ. გ.
ცინკ ფ. ხ.
ერვანდელი.
ოვსიანიკოვა ლ. ა.
ნეიმანი ბ. მ.
ზასლავსკაია ო. ფ.

კაცები:

ტენორები:

ზალიპსკი ბ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოლჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი ა.
ქუმბურიძე ა.

ბარიტონები:

ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდოვ პოლიაევი ფ. ნ.
ინაშვილი ა. ი.
თარხნიშვილ მ. ი.

ბასები:

დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
მერლიშვილი ე. ი.
საბინინი ლ. დ.
ნიროვი ნ. პ.
ეზროვი ნ. ს.
ორლიუკი
ქურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი ბალეტმეისტერი ს. ფ. ვაკარეცის და პრიმა-ბალერინა ბაუერზაკის მ. ძ. ხელმძღვანელობით. რეჟისორები: ბელსკი ა. დ. ულენტი ვალ. და გურესი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ია. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინ-გუს ე. დ., ხოკლოვისა ლ. ვ., გოლდმანი ლ. ია. ფალიაშვილი ჟ. ნნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. ვ.

გუნდი 50 კაცი. ორკესტრი 50 კაცი.

მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი კ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები: ზალცმანი ა. ა. და ხიმოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

სეზონი გაიხსნება

ხუთშაბათს 30 სექტემბერს სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალ დეკორაციებით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხოროთი.

ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა.

აბესალომ და ეთერი

დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი.

პარასკევს, 1 ოქტომბერს **პიკის ქალი** ოპერა 4 მოქ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. დირიჟორი სტოლერმანი.

შაბათს, 2 ოქტომბერს, **რიგოლეტო** ოპ. 4 მოქ., მუსიკა ვერდისა. დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. 45. 1.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია

რთველოს მცხოვრებთა 15 პროც. არ შეადგენს, რა უფლება აქვს მისცეს მას ისეთი პრივილეგიები, რომელიც ერის უმრავლესობას არ აქვს.

ასეთს გარემოებაში ეს დევიზი ნიშნავს:

ძირს ქართველი ერის უმრავლესობა.
„გაუმარჯოს კაჩეგარს“

ფელიეტონი

რა არის წითელი არმია.

ვიკტორ სავინკოვმა, ყაზახთა სახელოვანმა ოფიცერმა, თავისი ნებით მიატოვა ფრონტი, პოლონელებს ხელში ჩაუვარდა. აქედან იგი დენიკინელებთან გადავიდა, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ბოლშევიკებთან ბრძოლაში, ბოლოს წითლებს ტყვედ ჩაუვარდათ, მაგრამ მალე გაეპარათ მათ და ისევ პოლონეთში ამოჰყო თავი. აი, სხვათაშორის როგორ ახასიათებს იგი წითელ არმიას;

„წითლებში დღეს არავითარი პატრიოტული აღფრთოვანება არ არსებობს. ნურც მოელით, რომ ეგენი („წითლები“). რაიმე ზიზღით უყურებდნენ პოლონელებს. თუ მათ მახვილი უჭერიათ ხელში და წინ მიდიან, ეს იმიტომ, რომ შიმშილი აიძულებს. რომ დაიხიონ, სადღა უნდა დაიმალონ, როდესაც ყოველისფერი უკვე გაუდაბნოვებულია. პოლონეთისაკენ მათ ვერ წამოიყვანდათ რა, რომ პურის შოვნის იმედი არ ჰქონოდათ. რომ მოახერხონ პოლონეთის გარღვევა, ისინი აქაც არ შეჩერდებიან და ახლა ბერლინს ამოიღებდნენ ნიშანში, შემდეგ პარიზს და ასე ქვევით, სადაც მათი ინსტიქტი მიუთითებდა, რომ ლუკმა პურის შოვნა შესაძლებელი იქნეს. პირველ ხანებში თუ „წითლები“ იმარჯვებდნენ, იმარჯვებდნენ მხოლოდ რიცხვით და არა თავიანთ ჯარების ღირსებით, მათი მორალით. წითელი ლაშქრის უმრავლესობა თუ ეხლა იბრძვის, იბრძვის უმიზნოთ. არავინ უწყის, რა არის მათი მოძრაობის მთავარი ძარღვი, რისთვის ამდგარან ერთად ერთი საშუალება რომ რუსეთში ადამიანი შიმშილით არ მოკვდეს, ესაა წითელ არმიაში ჩაწერა. დღეს კომუნისტური იდეია უკვე აღარავის აღაფრთოვანებს, არ აღაფრთოვანებს, მაგრამ არა სჩანს რომ ხალხი სხვა გასაქანს მაინც ეძებდეს, ყველანი თავქვე მისდევენ მიმდინარეობას იმ იმედით, რომ იარონ ასე, ვიდრე არ დაიღუპებიან...

პოლონელების კონტრიერიშის შესახებ სავინკოვმა განაცხადა:, ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო ბოლშევიკებისთვის რომ ანგარიში ვეღარ მიეცათ თავისთვის, როგორ მოხდა, რომ ვარშავაში კარი უნდა შეგველო და ასე სასტიკად ვმარცხდებით, პირველ ბრძოლების შემდეგი ისაა, რომ პოლონელებს ტყვედ წაუყვანიათ. 100,000 კაცი. 80 ათასი გერმანულ პოლონეთში გადაუყვანიათ ხოლო 250,000 კაცი მოუკლეს და გაფანტულია „ლა კოზ კომუნ.“

დეპეშები.

გერმანული ცნობები.

ფინანსთა მინისტრმა „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტს განუცხადა: მიუხედავად იმისა, რომ რეიხსტაგმა უკვე გაიღო 10 მილ. მარკა, მას კიდევ 15 მილ. მარკის გაღება დასჭირდება, ვინაიდან საზავო ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანად, მხოლოდ ერთ 1920 წ. განმავლობაში 25 ათასი მილიონი მარკა იქნება საჭირო.

ახალი არხების გაყვანა.

გერმანიის შრომის მინისტრი აცხადებს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგებიან ახალი არხების გაყვანას და ძველთა შეკეთებას. ამ რიგათ უმუშევართ სამუშაო მიეცემათო.

სამხედრო მასალები რუსეთში.

საბჭოთა სამხედრო მასალების დასამზადებელი ქარხნები გაცილებით უკეთ მუშაობენ, ვიდრე ისინი ძველ რეჟიმის დროს მუშაობდნენ. რუსეთი რიგაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოაგებს ზავს თუ ეს ზავი არ იქნება იმპერიალისტური. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მზათ იქნება (გამოტოვებულია).

რუსეთის ცნობები.

(ბოლშევიკური)

მოსკოვი, ენკენისთვის 28. ოპერატიული ცნობა. 30 ვერსის მანძილზე ილონიმის სამხრეთ დასავლეთით და კობრინის აღმოსავლეთით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს.

ლონდონის ცნობები.

„პტი პარიზიენის“ ცნობით ბურჟუამ წინადადება მისცა პოლონეთს და ლიტვას იმოქმედონ ერთა ლიგის მიერ შემუშავებულ სავალდებულო დადგენილების თანახმად. იგი სთხოვს ამ სახელმწიფოთა მთავრობებს (დამახინჯებულია) კომისიაში, რომელშიაც ერთა ლიგას გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები. იმედი აქვთ, რომ კომისია ამ დღეებში გაემგზავრება სუვალკს.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენციის წევრები გაეცნენ დღეს საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის დელეგატთა მოხსენებას.

ამერიკელთა აზრი საფრანგეთის შესახებ.

ამერიკის პრესაში დაბეჭდილია ოტო კამოხის საფრანგეთში მოგზაურობის შთაბეჭდილება. საფრანგეთს შეუძლია დარწმუნებული იყვეს აღნიშნავს ის რომ მას საფთხე არ მოელის. მეორე ცნობილმა ამერიკელმა ბერიომ განაცხადა: აუცილებელი საჭიროა ამერიკისა და საფრანგეთის ერთმანეთს შორის თანამშრომლობაო. ის შემდეგ აღნიშნავს საფრანგეთის და ამერიკის ხალხთა საერთო თვისებას წარმოადგენს კანონისადმი პატივისცემა, შრომისა და მშვიდობიანობის მოყვარეობაო. ბოლოს ეხება მილერანის პრეზიდენტათ არჩევას და ამას დიდ მოვლენათ სთვლის. ამბობს: ყველას აქვს ჩვენდამი ნდობა, ის ხელს უწყობს კანონიერებას მრეწველობის აყვავებას და მფარველობს საზოგადოებასო.

მოსკოვის ცნობები.

სავინკოვის მოღვაწეობა.

მოსკოვი. თანახმად თეთრი გვარდიელთა პრესის ცნობისა ცნობილი სავინკოვი, რომელიც ამ ჟამად თავის თავს პოლონეთში არსებულ რუსების პოლიტიკურ კომიტეტის თავმჯდომარეს უწოდებს, მდინარე ბუგასთან მოხალისეთ იბრძოდა, როგორც უცხოეთში სავინკოვის მიერ გამოცემულ მოწოდებიდან სჩანს იგი მარტო არ ყოფილა. თეთრები პოლონეთის ჯარის გამარჯვების გამო დღესასწაულობენ. ამბობენ, რომ პოლონეთში დაარსდა რუსებისაგან შემდგარი რაზმები, რომლებიც იმავე მიზნებს ისახავს განსაზღვრულად რასაც თუ თეთრი პოლონეთი ისახავსო. ეს მიზანი კი რუსეთის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებაში გამოიხატება. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთ-პოლონეთის სარდლობისა და პოლონეთში არსებულ რუსების პოლიტიკურ კომიტეტის თავმჯდომარის სავინკოვის შორის შეთანხმება მოხდა. ამ შეთანხმების ძალით რუსებისაგან შემდგარი რაზმები ყოველი სახის სამხედრო იარაღს იღებენ.

საინფორმაციო განყოფილების ცნობები

ბრიუსელის კონფერენცია.

ლონდონი. სექტემბრის 23 (რადიო) ბრიუსელის კონფერენციაში, გარდა ევროპის დიდ სახელმწიფოებისა, მონაწილეობას იღებს ანტანტის მოწინააღმდეგე და ნეიტრალური სახელმწიფოებიც საერთაშორისო ფინანსურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს ერთა ლიგა, ექნება სათათბირო და არა გადამწყვეტი ხასიათი. კონფერენციაზე დაისმება საკითხი საერთა-შორისო სავაჭრო დამოკიდებულებისა და საქონლის გადაცვლა-გამოცვლის შესახებ. კონფერენციამ უნდა გამოარკვიოს კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა ფინანსური მდგომარეობა მისი პერსპექტივები. ამასთანავე იკვლევს საერთაშორისო კრედიტის ზილიზაციის შესახებ. კონფერენცია სდგება თვითეულ სახელმწიფოს წარმომადგენლთაგან ერთს მთავრობა ნიშნავს, მეორეს ბანკები და მესამეს ვაჭრო-სამრეწველო ორგანოები.

ხე-ტყის მოშენება.

ლონდონი. სექტემბრის 23 (რადიო) რუსეთიდან, შვეციიდან და ფინლიანდიან სატყეო მასალის შემოტანის გაძნელებისა და გაძვირების გამო ახანთის ინგლისელმა 9.000 აკრი მიწა მეიძინეს ტყის მოსაშენებლად. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ინგლისის მრეწველები რუსეთის ხე-ტყეს მიუდგომლადაც იოლად ავლენ.

აფეთქება ნიუორკში.

სტამბოლი. ენკენისთვის 20. აქ მიღებული ცნობებით სექტემბრის 16 ნიუიორკის ბირჟის შენობაში საშინელი აფეთქება მოხდა. აფეთქებისაგან მოკვდა 15 კაცი, დაიჭრა 50. აფეთქება დიდი ძალით მოხდა და მახლობელ სახლების ფანჯრებში მინები ჩაამტვრია.

ბელგია და რუსეთი.

ბრიუსელი. სექტემბრის 16. ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დელაკრუამ საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა არამც და არამც საბჭოთა რუსეთს არ იცნობსო.

საქართველო და აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობის წარმომადგენელმა მუსლიმ ისრაფილოვმა საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი იახლა და რწმუნების ბარათი ჩააბარა.

პრაგა. ენკენისთვის 26. საფრანგეთი იმის შიშით, რომ რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკება ზავით არ დამთავრდეს, პოლონეთს უფასოთ ახალ ტრანსპორტებს უგზავნის, იარაღით და სხვა სამხედრო მასალით.

ყირიმში ვრანგელი მოხალისეთა შეკრებას შეუდგა. ახალი რაზმები დგება რუმინეთში და კონსტანტინეპოლში.

მონარქიული შეთქმულება.

ნაუენი. ენკენისთვის 25. ბავარიაში მონარქიული შეთქმულება აღმოაჩინეს.

მოსკოვი. ენკენისთვის 28. პურის შეკრება ვიატსკის გუბერნიაში კარგათ მიმდინარეობს 28 სოფელმა მთავრობას ჩააბარა საჭირო პური. ხარკოვის გუბერნიაში მთელი სათესი სივრცის თითქმის 75 პროც. უკვე დაითესა. წითელ არმიელთა მიწების 95 პროც. დაითესა

კოპენჰაგენი. ენკენისთვის 26. თანახმად ლონდონიდან მოსულ ცნობებისა გაფიცვის საკითხი, მაღაროების მუშების მიერ ფაბრიკების საკითხის სამედიატორო სასამართლოზე გადაცემის შესახებ უარის თქმის შემდეგ, უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა.

ოდესა. ენკენისთვის 22 ყირიმის მწარმოებლებმა ხელშეკრულება დასდეს საზღვარგარეთ ერთი მილიონის ხორბლის გატანის შესახებ.

ქაღალდის კრიზისი

ჰელსინგფორსი სექტემბრის 14. ევროპაში ქაღალდის კრიზისის გამო ფინლანდიის ქაღალდის ქარხნებში გაძლიერებული მუშაობაა. მეფაბრიკეებს შეუკვეთეს ქაღალდი უმთავრესად ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან და არგენტინიდან. შეკვეთილი საქონლის დასამზადებლად ქარხნებმა 1 ნახ. წელიწადი უნდა იმუშაონ.

გაფიცვების ლიკვიდაცია.

ლონდონი. ენკენისთვის 25 (რადიო) სამთო რკინის გზისა და ტრანსპორტის მუშების გაერთიანებულმა კრებამ ლოიდ ჯორჯის წინადადება სერიოზულ მსჯელობის ღირსად სცნეს და დაადგინეს: ეს წინადადება, რომელიც ეხება მრეწველობის მოწესრიგებას გაუგზავნონ ორგანიზაციების განსახილველად, მაღაროების მომუშავეთათვის ავანსის მიცემის საკითხზე იმსჯელებენ საგანგებო თათბირზე ლოიდ ჯორჯის მონაწილეობით. მაღაროებში მომუშავეებთან მოლაპარაკებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ გაფიცვა აწი არ მოხდება. უთანხმოებას უმთავრესად შრომის ხელფასის წინ და წინ მიცემის საკითხი შეადგენდა. მთავრობა მუშათა ამ მოთხოვნილებას არ იზიარებს იმ მოსაზრებით, რომ ასეთ შემთხვევაში გარანტია არ გვექნება ქვანახშირის დამუშავების გაძლიერებისაო.

საქართველოში მყოფ რუსეთის საბჭოთა მთავრობის მისიის ცნობები.

პოლონეთის იერიშები.

მოსკოვი. ენკენისთვის 27-ს. (რადიო.) გაზ. „პრავდა“ აღნიშნავს პოლონეთთან ომის მნიშვნელობასა და ამ ომთან რუსეთის მშრომელი მასის დამოკიდებულებას:“ აუცილებელია ფრონტზე და ზურგში პროპაგანდის გაძლიერება. თუ ჩვენ დავკმაყოფილდებით ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებით, და შევასუსტებთ ჩვენს შემტევ ენერგიას, ამით ისარგებლებენ ბურჟუაზიული მტაცებლები და ყოველმხრივ დაგვარტყამენ. წინააღმდეგ, თუ ჩვენი ქვეყანა ღირსეულად დახვდება პოლონელი თეთრგვარდიელების შემოტევას, ჩვენ შევძლებთ მხედრული „შლიახტის“-ს განადგურებას. ჩვენ უკვე ვიცით გამოცდილებიდან, რომ ჩვენ არ გვყავს სხვა უფრო საშიში, უფრო საშინელი და შურის მაძიებელი მტერი, ვიდრე პოლონეთის თავად-აზნაურობაა. ჩვენ ვნახეთ უკვე თუ როგორ სწვავდნენ ისინი ქალაქებს, მაზრებს, სოფლებს თუ როგორ ჟლეტდენ მცხოვრებლებს.

შლიახტა კიდევ გვიტევს. ამ სამ სიტყვას უნდა ჩაუფიქრდეს ყველა ის რუსი მშრომელი, რომელსაც არ უნდა კისერზე დაიკიდოს პოლონეთის იმპერიალისტების თოკი. ჩვენ ჯერ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელი, არ უნდა დავკარგოთ იმედი. რაც არ უნდა იტრაბახოს ანტანტამ ის ვერ გამოაგზავნის საკმაო ჯარს მათ მიერ დაქირავებული პოლონეთის დასახმარებლად. შლიახტა გვიტევს. ის გვიტევს მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოების ზურგში პროლეტარიატი მზადება ჩვენი მტრების მახვილის ჩასაცემად. თქვენ გეძლევათ ვადა ბატონო პოლონეთის თავადნო, შეიძლება ჩვენ უკანასკნელად ვლაპარაკობდეთ: ჩვენ გვინდა ზავი. თუ ამაზე თქვენ გვიპასუხებთ ჩვენი ქალაქების განადგურებით, პასუხი აგეთ თქვენ. ვინც ქარს დასთესს, ის ქარიშხალს მოიმკის“.

საფრანგეთი და ვრანგელი.

რიგა. ენკენისთვის 26 ს. (რადიო.) იმის შიშით, რომ პოლონეთთან ზავის შემდეგ წითელარმიელები ვრანგელს შეუტევენ, საფრანგეთი ყირიმის ფრონტზე აგზავნის დიდძალ მასალებსა ამუნიციას და ტრანსპორტებს, ვრანგელი შეუდგა მოხალისეთა სასწრაფო მობილიზაციას. სდგება ახალი რაზმები რუმინეთში და სტამბოლში.

მატყლის მონოპოლია

ქ. სენაკისა და მისი მაზრის ვაჭარ მრეწველთა კავშირის გამგეობამ „შეღავათმა“ შემდეგი შუამდგომლობით მიმართა თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატას:

„წინად, ომის დაწყებამდე, როცა რუსეთში დამზადებული შალი იყიდებოდა ადგილობრივ სავაჭროებში ერთი მანეთად არშინი, მაშინაც სამეგრელოში შემოქონდათ გორიდან და სხვა ადგილებიდან რამოდენიმე ათი ათასი ფუთი მატყლი; იმ სიაფეშიდაც ადგილობრივი მკვიდრნი ამზადებდენ თავიანთ საჭიროებისათვის სხვა და სხვა სამოსელს.

უკანასკნელი 3-4 წლებში იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ ჩოხას არ ქსოვდეს და მით არ იმოსებოდეს, როგორც ქალი ისე კაცი და ბავში. საჭირო მატყლს თავისუფლად შოულობდენ ადგილობრივ, რომელიც მოქონდათ გორიდან და სხვა ადგილებიდან. ამა წლის მაისამდე გირვანქა მატყლი იყო 30—50 მანეთად.

დღეს მატყლი გასაყიდად ბაზარში არ არის და თუ იშვიათად სადმე შეხვდით იყიდება 300—350 მანეთად გირვანქა. ეს აიხსნება იმით, რომ მატყლის ჩამოტანის ნებას კერძო პირებს არ აძლევენ და საზოგადო დაწესებულებებშიდაც არ არის. ამან სოფლის ხალხი ძალიან დაალონა და დიდი გაჭირვებაში ჩააგდო. ლაპარაკობენ: ბაზარზე ჩითი, სიტკალი და ნარმა 200—400 მანეთად არის არშინი, საზღვარ გარეთიდან მოტანილი შალზე ხომ მეტია ლაპარაკი რა ფასებში იყიდება, რა ჩავიცვათ, ან რა ჩავაცვათ ჩვენ ცოლ-შვილსო. უკანასკნელი სამი-ოთხი წელიწადია ჩვენ ჩვენი მონაქსოვით ვიმოსებით, ეხლა მატყლს ვერ ვშოულობთო.

ჩვენ ვიცით რომ მთავრობამ მატყლის როგორც სავალუტო საქონლის მონოპოლია გამოაცხადა; კარგი და პატიოსანი, რაც საზღვარ-გარედ გადის მატყლი ეს იყოს სახელმწიფოს ხელში, მაგრამ რაც ადგილობრივ მკვიდრთ ესაჭიროებათ ამის უფლებას რატომ უსპობენ ხალხს შეიძინოს თავისუფლად ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში თავისთვის საჭიროებისთვის. მონოპოლიად გამოცხადებული საქონლებშიც გარჩევა უნდა, რომელი საჭიროა აუცილებელი ხალხისთვის და რომლის გადატან-გადმოტანას აკრძალვა ჩვენს რესპუბლიკას ზიანს არ მიაყენებს და რომელი აზარალებს.

აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია მატყლის გადატან-გადმოტანა რესპუბლიკის საზღვრებში თავისუფალი იქნეს. საჭიროა ამის აღიარება საჭიროა ისეთი დაწესებულება, როგორც არის სავაჭრო-სამრეწველო პალატა გაიგებინოს მთავრობას ხალხის უკიდურესი გაჭირვება მატყლის უქონლობის გამო. შესაძლებელია სთქვას სამინისტრო ნებას აძლევს განსაკუთრებული მოწმობების წარდგენის შემდეგ. მაგრამ ასეთი ნებართვის ასაღებად მთელი კვირაობით უნდა იაროს თბილისში და განა შესაძლებელია სოფლის გლეხმა, რომელსაც 20 გირვანქა მატყლი ჭირდება ხელსაქმისთვის ასაღებად იაროს თბილისში და ხარჯოს ათი ათასი მანეთობით? ასეთი ხარჯის შემდეგ [illegible] ნებართვის აღება.

ერ. დემოკ. სტუდენტთა და მოსწ. მთ. კომიტეტ. ცნობები.

მოსწავლეთა ორგანიზაციებისადმი.

გამოვიდა და უკვე დაეგზავნა მოსწავლეთა ყველა ორგანიზაციებს, მომავალ სამოსწავლო წლისათვის სამუშაო მასალები: ინსტრუქცია, სარეგისტრაციო და საწევრო ბარათები.

იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ეს მასალები არ მიუღიათ ევალებათ საჩქაროთ გვაცნობონ.

ხსენებულ მასალების მიღება შეუძლიათ, იმათაც ვისაც სურთ ახალი ორგანიზაციის დაარსება.

სტუდენტთა და მოსწავლეთა მთავარი კომიტეტის სხდომა.

ხუთშაბათს 30 ენკენის. საღ. 7 ს. მთავარ კომიტეტის ბინაზე, დანიშნულია ერ. დემ. პარ. სტუდენტთა და მოსწავლეთა მთავარი კომიტეტის სხდომა. განსახილველია გადაუდებელი საკითხები. წევრებს ევალებათ დაესწრონ.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

სექტემბრის 27 მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნული სიდამონ-ერისთავი და მისის პირველი მრჩეველი ბაქრაძე.

სამინისტროებში.

— საგარაკო საქმე. თანახმად მიწად მოქმედებასთან დაარსებულ განსაკუთრებულ საგარაკო კომისიის ცნობებისა ლეჩხუმის ერობას ლაშხეთში სამი წყარო და საექიმო პუნქტი მოუწყვია. ცხომარის მჟავე წყლები დიდძალ ნახშირ ბადს შეიცავს. საგარაკო კომისიამ, გაეცნო რა სვანეთის მადნეულ წყლებს, გამოიკვლია აგრეთვე სამეგრელოში არსებული ორი დიდი მადნეული წყარო ცაიშისა, რომელიც ზუგდიდიდან სულ 10 ვერსის მანძილზე იმყოფება და ნაქალაქევისა, რომელიც ახალსენაკიდან 17 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ წყლებთან მოწყობილია აბანოები.

— ტყეების გამოკვლევა. ტყის საბჭოს სხდომაზე მიწად მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრმა ს. ნ. ტიმოფეევმა გააკეთა მოხსენება: „ჩვენი ტყეების გამოკვლევის საჭიროების და ტყის საქმის მოწყობის შესახებ“. მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა: მიენდოს უფროსს რევიზორს, შეაგროვოს ამ საკითხის შესახებ მთელი არსებული მასალა და შეადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება მიწად მოქმედების მინისტრის სახელზე.

— ფოთის რაიონის გაჯანსაღება. წყლის სამმართველოში დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც ფოთის რაიონის გაჯანსაღება, და პირველად ყოვლისა, ტბების დაშრობის საკითხის შესწავლა დაევალა.

ტივები. შრომის სამინისტრომ თხოვა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოება-ს და სამხედრო უწყებით ხე-ტყის ქარხნებს მიიღონ ზომები მდინარე მტკვარზე ჯებირების შეკეთებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში აკრძალული იქნება წისქვილების რაიონში ტივებით ხეების გადატანა.

— ხორბლის დაფქვა. შრომის სამინისტრომ ქალაქის სასურსათო განყოფილებას მიმართა შემდეგი განცხადებით: მიუხედავად შრომის სამინისტროს რამოდენიმე მომართვისა, რომ იმ წისქვილში, სადაც მუშათა მაგიდას ხორბალი იფ

ვება, კერძო პირთა ხორბალი არ აფქვილიყო, ასეთ მოვლენებს მაინც ქვს ადგილი. კერძო პირთაგან მიღე ლ ხორბლის გამო შეუძლებელი ხდე წისქვილებში კონტროლი, ვინაიდან რბალი ზოგჯერ უწმინდაო არევა ლოდ. ამიტომ შრომის სამინისტრო ნმეორებით გთხოვთ კერძო პირთა რბლის მიღების აკრძალვის დასახე ებულ წისქვილებში.

ალ. თვითმართველობაში.

— ქალაქის საბჭოში სექტემბრის 27 ლაქის საბჭომ თავმჯდომარის ილის ალ. მდივნის თავმჯდომარე ით დაადგინა: 1 გაუქმდეს სასუფს ს მლო და ადმინისტრაციული ნა ობის ქალაქის მოხამსახურეთ ჯამა რი. ჯამაგირები იქნება 8 ათასამდე 25 ათასამდე თვიურად. 2. მიმდინარე ის აგვისტოსა და სექტემბრის ხარ ები გამოანგარიშებულ იქმნა 79 მილ 3. ზუბალაშვილის სახელობის სახალ სახლში გადიდდეს ბილეთების ფასი 50 მანეთამდე 1. გადადებულ იქნას 300 ნაკთი ალექსანდრე მეორის საა მყოფში სახელმწიფო უნივერსიტე ის სტუდენტთა საჭიროებისათვის ქი რურგიულ და ტერაპევტიულ კლინიკი თვის 5. საბჭოს სარევიზიო კომისია ში გასულ წევრთა ნაცვლად აირჩიეს ქ. ქველიშვილი შ. ხუტაშვილი ქალა ს საბჭო აძლევს ერთი თვის შვებუ ლებას ოქტომბრის 20 ქალაქის თავს ჩხიკვიშვილს.

— **ცეცხლის საწინააღმდეგო კომი**ა. თბილისის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა: ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსის ბერიძის თავმჯდომარეობით დაარსოს საგანგებო კომისია, რომელსაც ცეცხლის საწინააღმდეგო ზომების დამუშავება დაევალება. კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ქალაქის ტეხნიკურ განყოფილების და მილიციის წარმომადგენლები და აგრეთვე საქმის მცოდნე პირები. კომისიამ უნდა დაათვალიეროს ყველა თეატრი, ცირკი, კინემატოგრაფი და სხვა დაწესებულება, კომისიამ უნდა გამოარკვიოს, თუ სად არის საჭირო სადარაჯოების მოწყობა და თუ რა მასშტაბით უნდა მოხდეს მქრობელთ რაზმის გადიდება და სხვა.

ვაჭრობა მრეწველობა

— **მარგანეცის ექსპორტი.** აგვისტოში გატანილი მარგანეცი. თანახმად საზოგადოება „ჩემო" ცნობებისა აგვისტოს განმავლობაში გაუტანიათ 1.430.000 ფუთი მარგანეცი. ამ რაოდენობიდან ინგლისში გაუტანიათ 90.000 ფუთი, იტალიაში 25.000 ფუთი და სხვა. ამ ჟამად ფოთში იტვირთება 3 გემი, რომელთა საერთო ტონაჟი 400.000 ტონს უდრის. გემები ინგლისის ნავთსადგურებისკენ წავა.

სასამართლო

— **საოლქო სასამართლოს სესია.** საოლქო სასამართლოს წევრთა კრებამ დაადგინა პროვინციაში სასამართლოს სესიები გაემგზავროს შემდეგი წესით: 1. ოქტომბრის 11 16 საოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სიღნაღს გაემგზავრ. 2. ოქტომბრის 11-15 ოლქის სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულებით ახალქალაქს, აქედან კი სესია გადავა ახალციხეს და იმუშავებს ოქტომბრის 16 33. 3. ოქტომბრის 25 30 საოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გაემგზავრება სურამს.

სურსათი.

— **ხორცის მიწოდება.** სასურსათო განყოფილება შეუდგა ტფილისის მცხოვრებთათვის იაფასიან ხორცის მიწოდებას. ამ მიზნისათვის სასურსათო განყოფილებამ უკვე შეისყიდა საქონელი საქონლის პირველი პარტია გადაეცა მეხორცეთა ამხანაგობას, რომელთა მაღაზიებიდანაც ხორცი გაიყიდება მცხოვრებლებზე. ასეთი მაღაზიები არსებობს ეკონომიურ საზოგადოებასთან: კახეთის მოედანზე, ბაზარის. ჩერქეზიშვილის ქუჩებზე.

— **პური.** სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ მან მიიღო მთელი რიგი ზომებისა პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. მას იმედი აქვს, რომ პურის ღირსება მოკლე ხანში საგრძნობლად გაუმჯობესდება.

მუშათა ცხოვრება.

— **მუშებისათვის სურსათ სანოვაგის მიწოდება.** სასურსათო განყოფილება იუწყება: ვინაიდან მუშებსა და მოსამსახურეებს არ აქვს დრო დადგენ რიგში ნავთის მისაღებად, ამიტომ სასურსათო განყოფილებამ ნავთის მოწოდება მოაწყო. მუშებმა და მოსამსახურეებმა სასურსათო განყოფილებაში უნდა წარადგინონ დამოწმებული სიები, რომლითაც ყოველ მოსამსახურეს 20 გირვანქა ნავთი მიეცემა. სიებში აღნიშნული უნდა იქნეს მისამართი, თუ სად უნდა მიიტანონ ნავთი. ფუთი ნავთი მიტანით 375 მანეთი ეღირება. დაწესებულებებს ნავთს 10 ფუთზე ზევით არ მისცემენ. ფული ნავთის მიწოდების შემდეგ უნდა გადაიხადონ.

მუშაობის დაწყება სახელმწიფო დაწესებულებაში. მთავრობამ შეიწყნარა შრომის სამინისტროს შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ოქტომბრის პირველიდან მუშაობა იწყებოდეს არა 8 საათზე არამედ 9 საათზე.

— **შეშა მუშათა მაგიდისათვის.** შრომის სამინისტრომ სთხოვა გზათა უწყების დეპარტამენტს მიაწოდოს 40 ვაგონი მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის ლაჩხუთსა და ჯუმათს შუა მდებარე სადგურებიდან შეშას ჩამოსატანად.

სხვა და სხვა

— **კინემატოგრაფი-მინიონი!** შრომის სამინისტრომ აცნობა არამიანცს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა წინადადება ეძლევა მას რაც შეიძლება მოკლე ხანაში, გაანთავისუფლოს შენობა, რომელიც ამ ჟამად მინიონს უკავია. არამიანცის შუამდგომლობა, რომ ჩამორთმეულ ხახლიდან რუსთაველის ქ №17 დაეთმოს კინემატოგრაფისათვის შენობა უარყოფილ იქმნა, ვინაიდან ქალაქის საბჭოს ცნობით არამიანც თბილისში სხვაგანაც აქვს მამულები.

— **დიაგნოსტიურ კლინიკაში.** სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიური კლინიკა აცხადებს, რომ შინაგან სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე დილის 10—11 საათამდე. დიდი მთავრის ქ. №103.

— **დედაენის გამოსვლა.** დედა ენის პირველი ნაწილი გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პრ. №9. სასტუმრო ორიანტის ქვეშ. მეორე ნაწილი გამოვა სამ დღეში. ფასი თვითეულ ნაწილის 90 მანეთი.

— **დელეგატი პაპისა.** რომიდან ახლად ჩამოსული პაპის დელეგატი და ქართველ კათოლიკეთა ეპარქიის სამოციქულო მმართველი ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონდო, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე №9 დაბინავდა, ივანე იაკობის ძე ზუბალაშვილის სახლში.

ბათომი.

— საგანგებო კომისარი გაეცნო ნოტარიუსის ბისტევაშვილის საქმეს სიყალბის შესახებ და დაადგინა სამი თვით ციხეში სასჯელის მოხდის შემდეგ გადასახლებულ იქნას რესპუბლიკის საზღვრებიდან.

— მოკლე ხანში ბათუმში გაიხსნება ელექტრონის წისქვილი.

— განზრახულია ქალაქს მიაწოდონ გარდა პირველ მოთხოვნილების საგნებისა და სურსათის სხვა სამონოპოლიო საგნებიც: ხე-ტყე, ნავთი და სხვა.

უცხოელთა დელეგაცია.

კაუცკის მოსვლა.

კარლო კაუტსკი უკვე ბათუმში ჩამოვიდა გუშინ 27 ენკენისთვეს. ხალხი დიდის ოვაციებით შეხვდა.

მაქუს სახანოს ხორბალი და სომხეთი.

ორიოდე კვირის წინად ჩვენმა მთავრობამ გაგზავნა მაქუს სახანოში საგანგებო მატარებელი 500,000 ფუთი ხორბლის შესაძენად და გადმოსატანად. რამდენადაც მოსაზრებით სომხეთის მთავრობამ ეს მატარებელი ერევანს იქით აღარ გაუშვა. როგორც გადმოგვცემენ, სომხეთის მთავრობა ჯერ შეჰპირებია ჩვენს აგენტს [illegible] მოეთხოვია ნახევარი შესასყიდ ხორბლისა, შემდეგ კი უარი უთქვამს ამ კომბინაციაზედაც და სრულიად აუკრძალავს ხორბლის წამოღება. მატარებელი ცარიელი დაბრუნდა. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა გზას დაადგება ჩვენი მთავრობა, რომელმაც ამას წინად სატრანზიტო ხელშეკრულობა დასდო სომხეთთან.

მილიონობან მხოლოდ ორიოდე.

1.

ვორონცოვის ხიდის გაღმა ყურეში იმყოფება თბილისის ქალაქის თვითმართველობის ადგილი, სადაც ქალაქის გამგეობას დაგროვილი აქვს ქალაქის სიმდიდრის უდიდესი ნაწილი: ეტლები, ურმები, ბოჭკები, ორბორბლიანი ეტლი (დვუკოლკები), დროგები, ცხენები და სხ. (ციხაუზი).

აი ეს ადგილი დაათვალიერა ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა და ბევრი ნაკლი და დაუდევრობა აღმოაჩინა.

შენობები.

შენობები უმეტესად ფარდულებს წარმოადგენენ რომელთა მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. არც ჭერი უვარგათ, არც კედლები, ბევრ ადგილას ჩამტვრეულია. ასეთი „შენობები" ძალიან ცოტაა და საქმისათვის სრულიად არ კმარა. კონტორა ეზოს გარე ყურეშია და არ შეუძლია თვალყური ადევნოს თუ რა ხდება უაზროთ დასერილ ეზოს სხვა და სხვა ნაწილებში; მაგ. მეთვალყურეს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს თვალყური ადევნოს იმ სამ „თავლას"- რომელიც ერთი მეორესაგან მოწყვეტილია საქლო და სამჭედლო ფარდულით გაფანტული სხვა და სხვა კუთხეს; ამის გამო გაფანტულია თვით საკვებიც თივა, ქერი და სხ., რომელიც ზოგჯერ ინახება ცის ქვეშ, ამა თუ იმ ყურეში მიგდებული და ფუჭდება აქა იქ გადატანით ცხენებისათვის მისატანად. სამჭედლო და სახელოსნო წარმოადგენს რაღაც ერთ წიწკანა კუნჭულს და არა განყოფილებას და მოითხოვს ძირიან რეორგანიზაციას, გაფართოებას და თავიდან აგებას.

ინვენტარი.

ნაწილი ინვენტარისა იმყოფება ფარდულებში, მაგრამ რადგან უკანასკნელი არ იტევს, უმეტესი ნაწილი ინვენტარისა, ზოგი გაფუჭებული რკინეულობა, მაგრამ გადასადნობათ მშვენიერი მასალა, ზოგი გამოსადეგი და უთუოთ კარგი საქონელი, იმყოფება ცის ქვეშ და ფუჭდება ამინდ-უამინდობის ზედგავლენით. აქ ნახავთ: ეტლს ღამის და სხ. ბოჭკებს, ორ ბორბლიან ეტლებს, დროგებს, ბორბალებს, სალტებს (ობრუჩი) კრამიტებს, ქვაბებს, აგურებს წყლის ამოსაღებათ ([illegible]) სხვა და სხვა ტაჩკებს ურმებს და სხვა. აქ არის წვიმისა და ქარის ქვეშ მოქცეული: წყალსადენი მილები, რკინის ბოძები, ფარნებისათვის, ზესადგმელების სულ რკინაა), ხის სხვილი ბოძები, საქაჩავები (ნასოსი), პარკეტის პლიტები და სხ. დიდძალი რკინეულობა; აგრეთვე კარები, ჩარჩოები, დარაბები, და სხ. აქა იქ ყრია ისეთი წვრილი რკინეული რამ საგანი, რომელიც სხ. დაწესებულებას ძალზე ესაჭიროება და ვერ უშოვნია. მთელი ეს საქონელი სრულიად მოუვლელია, რადგან მისი მოვლა არც შეიძლება თუ რაიმე ბინა ფარდული თუ განყოფილება არ აშენდა და შიგ არ დაეწყო რიგზე ყოველი საგანი. საქონელი წვიმისა და და ქარის გამო იჟანგება, ლპება, იფიტება. ამდენი ღირებულების საქონელი დღითიდღე ფუჭდება უბინაობლობისა და მოუვლელობის გამო.

ცხენები.

ცხენები წარმოადგენენ საცოდავ სურათს. უმეტესათ ძლიერ გალახულია ბევრი და აუტანელი შრომის გამო; ბევრს ზურგი მთლათ გადატყავებული აქვს, ზოგს ფეხი აქვს დაზიანებული. ზოგი ისეა მისუსტებული რომ მისი განძრევაც კი ცოდვაა. ეტყობა დაუზოგველობა და საკვების ნაკლებობა. თივაც კი არა აქვთ სამყოფი, იმის და მიუხედავათ, რომ თივის შოვნა არც ისე ძნელია. სულ 8 10 ვერსზე თბილისიდან სოფ. ლილოს ტბებთან იშოვნება თივა, რამდენიც გნებავთ, მისი ჩამოტანა დამოკიდებულია მხოლოთ კეთილს სურვილსა და მმართველთა გარჯაზე. ეზოს ზედამხედველებს გამეგონა ბევრჯელ გაუფრთხილებიათ ცხენების საკვების უქონლობის გამო, მაგრამ აქედან არა გამოსულა რა. როგორც გამოირკვა სასაფროთ თივა სრულიათ არ მოიძებნება ეზოში; ასე დღიდან დღემდე ცხოვრობენ. თივის ჩამოტანა საშური საქმეა, ვინაიდან წვიმიან ამინდს დაიჭერს და საქმე უფრო გაძნელდება და თივაც უფრო გაძვირდება.

ცხენებს არ ეძლევა ქერის სულ მცირე მინიმუმიც კი, მისდა მიუხედავათ, რომ ჯაფა გაოთხკეცებული აქვთ. მეეტლეები გადმოგვცემენ, რომ ეტლის ხმარება უმეტეს შემთხვევაში არ განისაზღვრება თანამდებობის პირთაგან, არამედ ეტლებით სარგებლობენ სრულიათ უკანონოთ მოხელეთა ნათესავები: აბანოში, სადგურზე, მუშტაიდში სასეირნოთ და სხ. წასვლისას. მოხელეთა ოჯახის წევრები და შორეულ ნათესავები ისე სარგებლობენ ქალაქის ეტლებითა და ცხენებით როგორც თავისი საკუთარით: ამდენ კანონიერ და უკანონო ჯაფას ეს ცხენები ვერ აიტანენ, რადგან მათ თითქმის არასოდეს ქერი არ აქვთ და თითქმის ყოველთვის თივაც აკლიათ. ამ ზამთრისთვის, თუ ეს პირობები დარჩა, ცხენები „პატრონს [illegible]" როგორც იტყვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ შ ე ბ ი.

მუშები უმეტესათ ოსმალეთიდან გამოქცეული, ოსმალეთის ქვეშევრდომები არიან, ქართული არ იციან და არც რუსული ესმით. თავიანთ საქმეს ვერ მიუძღვებიან უცოდინარობისა და დაუხელოვნებლობის გამო და ბევრსაც აფუჭებენ.

სასტიკათ იცავენ 8 საათის სამუშაო დღეს. მაშინ როდესაც ზედამხედველი და მისი თანაშემწე დილის 6 საათიდან საღამოს 8 საათამდე, მუშაობენ; სადილისათვის ეძლევათ ერთი, დიდი—ერთ ნახევარი საათის დასვენება. მუშები, მაგ. მჭედელი, დურგალი, ხუროები, ღებულობენ მეტს ჯამაგირს ვიდრე ზედამხედველი. უკანასკნელი ჩიოდა, რა პატივით შემომხედავს მუშა, როდესაც იცის, რომ მე მაზე ნაკლებს ვღებულობ.

თავიანთი მდგომარეობით მუშები ვაგლახად სარგებლობენ და დილაობით მუშაობაზე ძალიან ზანტათ მიდიან, საჭიროა ზარის რამოდენჯერმე განმეორება, რომ ისინი სამუშაოზე მივიზიდოთ. ხელის შემშლელია აგრეთვე ის გარემოება, რომ მუშებისათვის არ არის ოთახი ეზოში, რომ ღამის შემთხვევისათვის მუშა ეზოში მზათ იყოს.

კონტროლი.

სასიამოვნო იყო გაგონება ზედამხედველის სამდურავისა, რომ მას კონტროლს არ უკეთებენ, არ მიდიან ეზოში დასათვალიერებლათ, არ ეკითხებიან რათ არის ცხენი აგეთ მდგომარეობაში, რათაა ეს და ეს დანაკლისი საქმეში და სხ. მაღლიდან თვალყურის დევნა და კონტროლი სუსტია. ეს ემჩნევა თვით საქმეს და შეადგენს განცვიფრების საგანს მომუშავეთათვისაც.

აგეთია მდგომარეობა ქალაქის დიდი მეურნეობის ამ პატარა ნაწილში.

აქ საქმის რიგზე დაყენება ადვილია, რადგან თვით საქმე მარტივი და სადაა. დაუდევრობა და მიყრუება—აი, ის სენი, რომელიც ხრავს ამ პატარა საქმეს და რომელიც ედება ქალაქის მეურნეობის მთელს სივრცეს. შემდეგ ჩვენ დავინახავთ, რომ არც სხვა დარგები იმყოფება უკეთეს მდგომარეობაში.

ტანინ.

ქართველ-უდების შუამდგომლობა.

თბილისში ჩამოვიდნენ ნუხის მაზრის სოფელ ვართაშენისა და ყიშლაღის მართლმადიდებელ უდინთა წარმომადგენლები. მათ დავალებული აქვთ ყველა უდებისაგან იშუამდგომლონ საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ ისინი აზერბაიჯანიდან გადმოსახლებულნი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე კუთხეში.

ეს პირველი თხოვნა არ არის: წინა წლებშიაც უდები ყველასათვის გასაგებად გაბედულად აცხადებდნენ, რომ ამიერ კავკასიაში მათ არავისთან საერთო არა აქვთ რა გარდა ქართველებისა. ქართველებისადმი ერთგულება უდინებმა ცხადათ გამოააშკარავეს რევოლიუციის პირველ დღეებშივე, როდესაც მათმა დელეგატებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სრულიად საქართველოს კათალიკოზის არჩევნებში და აღიარეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა. ამიერ-კავკასიის „მთლიანი" რესპუბლიკის დანაწილების შემდგომ უდინები გეოგრაფიულად აზერბაიჯანის სამფლობელოში მოხვდნენ და ამ დღიდან იწყება მათი უმწარესი შევიწროება და დარბევა. მიმდინარე წლის 27 მარტს გააფთრებული თათრის ბრბო მიესია სოფელ ვართაშენს და მიწასთან გაასწორა ეს ოდესღაც მშვენიერი და მდიდარი სოფელი. უდინებმა მიმართეს თხოვნით ამ სტრიქონების დამწერს და ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე მათი გადმოსახლებისა და ნივთიერი დახმარებისათვის. პირველი ვერ მოხერხდა აზერბაიჯანთან გართულებულ დამოკიდებულებისა და შემდგომ ომის გამო; რაც შეეხება მატერიალურად შველას მთავრობა დაგვპირდა, მაგრამ ფაქტიურად არაფერი გამოსულა ამხრივაც დღეს ეს ხალხი კვლავ გვემუდარება მიაქციოთ ყურადღება მათს უბედურ მდგომარეობას. .

ვინ არიან ისტორიული უდები ეთნოგრაფიულად? რა აქვთ მათ საერთო ქართველებთან?

ბიზანტიური და რომაელ მეცნიერების პლუტარხის, სტრაბონის, ტაციტის და სხვების აზრით ნუხის მაზრა შედიოდა ძველი ალბანეთის საზღვრებში და ითვლებოდა მის ცენტრად. ამასვე ამოწმებენ ჩვენი დროის მკვლევარნი და მათ შორის გრუშევსკი, აკადემიკოსი შიფლერი, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე. ალბანელებმა ქართველებთან ერთად მიიღეს ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის დასაწყისში და უკანასკნელებთან ერთად დაექვემდებარნენ ერის საეკლესიო იერარქიის საქართველოს კათალიკოსის ბრძანებლობით. პოლიტიკურად ალბანელები ექვემდებარებოდნენ საქართველოს მეფეებს. მეცხრე საუკუნეში ალბანეთი სავსებით მოექცა საქართველოს სამეფოში, როგორც მისი განუყრელი ნაწილი.

ისტორიულ უდებს ეთნოგრაფიულად არაფერი აერთებს დღევანდელ მათ მეზობელ თათრებთან და სომხებთან. უდები წარმოადგენენ განთვისებულ ეთნიურ კატეგორიას თავისი საკუთარი ენით, ზნე ჩვეულებით, კულტურით. უდინების დაქვეითება დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში, როცა სპარსეთის მეფის შაჰ-ნადირის ბრძანებით მათ მიწა-წყალზე გადმოასახლეს სპარსეთიდან სომხები, ებრაელები და სხ. უდინების დარბევით შაჰ ნადირს უნდოდა საქართველოს დასუსტება და ეს მან კიდევაც მოახერხა იმით, რომ სავსებით მოხარა აღმოსავლეთ საქართველოში ის ელემენტი, რომელიც ყველაზე ერთგული იყო საქართველოისა.

ჟამთა მსვლელობაში დიდი ნაწილი უდებისა იძულებული იყო გადასულიყო სომეხ-გრიგორიანების რჯულში და მცირედ ც მაჰმადიანობაში. ამ ფაქტს, გარდა ისტორიული გამოკვლევებისა, ამოწმებს კიდევ გენერალ ლეიტენანტის ველიამინოვის წერილი მიტროპოლიტ თეოფილაქტთან 1819 წლის 16 გიორგობისთვის თარიღით და მიტროპოლიტის საპასუხო წერილი 6 თებერვალს 1820 წელს.

ნუხის მაზრაში მრავლად მოიძებნება ძეგლები, რომელნიც ამტკიცებენ ამ კუთხის საქართველოს შემადგენლობას ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე ხანებში. ვართაშნის რაიონში ეხლაც არის დარჩენილი ეკლესიების ნანგრევები ხუცური ნაწერები, კოშკებში—ს უტყუარი მოწმენი მაშინდელ დროის ქართველთა ხელისუფლებისა ამ პროვინციაში. ამავე ხაზით მიდის გაგრძელება თამარის შესანიშნავ არხისა, რომელსაც აქ „ყიზლიარ ყალას" უწოდებენ. ისტორიულ ძეგლების სიუხვეს ვართაშენს აღმოსავლეთითაც შევამჩნევთ, სახელდობრ: ბუმში, ხილხალში, ორომბანლიში და სხ.

ამ საინტერესო ეთნიურ ჯგუფს დღეს შერჩა მხოლოდ რამდენიმე სოფელი მართლმადიდებელი და გრიგორიან ისტორიულ უდებით დასახლებული. უდინი გრიგორიანები სომეხ კლერიკალების ზედგავლენით უდებად აღარ სთვლიან თავის თავს... შერჩა მხოლოდ ორი სოფელი—ვართაშენი და ყიშლაღი,—ორი მართლაც სამუზეუმო სოფელი, რომლის მცხოვრებნი მართლმადიდებლობას იზიარებენ და თვის წინაპრებისამებრ ჭეშმარიტი ერთგულნი არიან ქართველი ხალხისა. ისინი თავის თავს ქართველებში არც არჩევენ. მეზობელი სომხები და თათრებიც მათ „გურჯებს" უწოდებენ.

ბუნებრივია, რასაკვირველია, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდგომ უდებმა მოიწადინეს მის ფარგლებში შემოსვლა. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს სურვილი ქართველ უდებს აღეძრათ თათრების მხრივ დარბევისა და შეწუხების გამო! ამ გარემოებამ უთუოდ დააჩქარა პროცესი უდების საქართველოში გადმოსახლების პრაქტიკულად განხორციელებისა მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენს სახელმწიფოში გადმოსახლებაზე უდები ოცნებობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათი მყუდროება შედარებით დაცული იყო.

მოსახერხებელი კი არის მათი გადმოსახლება ჩვენს მიწა-წყალზე? ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში შეუძლებელია დავეყრდნოთ ეგრედ წოდებულ საერთაშორისო ნორმებს, რომელთა მიხედვით სავალდებულოა განსაზღვრულ ფორმალობის დაცვა ამ გვარ პრობლემათა გამორკვევის დროს. თუნდაც რომ ვიცნოთ აზერბაიჯანი დამოუკიდებელ სახელმწიფოს ერთგულად, ის ფაქტი მაინც რჩება, რომ ეს „სახელმწიფო" ვერ ახერხებს თავის მოქალაქეთა უზრუნველყოფის დაცვას, პირიქით მის ტერიტორიაზე მცხოვრებნი განიყოფებიან კატეგორიებათ: ზოგს აზერბაიჯანის ხელისუფალნი ყველაფრის ნებას ჰრთავენ, მეორენი კი რაღაც მცირეხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებიან. რომელთა წინააღმდეგ პირველნი თავისუფალნი არიან მოქმედებაში: მათი დარბევისათვის, თუნდაც სიცოცხლის მოსპობისათვის ეს პრივილეგიური ელემენტი პასუხისგებების გარეშე სდგას! ამგვარ დანაშაულობისათვის აზერბაიჯანის იურისდიქციამ სასჯელი არ იცის. ამიტომ არის, რომ თათრების ბრბოები განუკითხავად სჩაგრავენ აზერბაიჯანში მოსახლე სხვა ტომის ხალხს, განსაკუთრებით სომხებს და უდებს. ნუხის მაზრაში უწინ სომხებისა კარგა საკმაო მოსახლეობა იყო, დღეს კი სომები ამ მაზრაში თითებზე ჩამოითვლებიან: ვინც დროზე მოასწრო, სომხეთს შეაფარა თავი, დარჩენილების უდიდესი ნაწილი-კი თათრებს მსხვერპლად შეეწირა...

ასეთს ველურ სახელმწიფოში ცხადია დაჩაგრული ელემენტი გაწყვეტას არ ასცდება, მაშასადამე, თვით ამ ელემენტს უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი ფიზიკურ არსებობის შენახვისა და სწორედ ამ მიზეზით აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მიიხვეწებიან ყველა ისინი, ვისკენაც მიღერებულია დაუსჯელი თათრის აშიშვლებული ხმალი.

გაქცევას უდებიც აპირებენ. სად უნდა მივიდნენ ეს უბედურები? ვის უნდა მიადგნენ ჭერის სათხოვნელად? მხოლოდ მოძმე ქართველ ხალხს, მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომლის წიაღში უდებს მრავალ საუკუნის განმავლობაში საკეთე და უზრუნველყოფა ჰქონდათ.

ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მთავრობა შესაფერი ყურადღებით მოუსმენს უდების დელეგაციას და მიიღებს ღონისძიებას მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დიპლომატიური მიწერ მოწერა შორს წაგვიყვანს და, უნდა ვთქვა გულახდილად, შედეგსაც ვერ მოგვცემს.

დიპლომატობამ დაკნინებამდე მიიყვანა აღმოსავლეთის საქართველოს სხეული. ჩვენ ერთობ შევსტოფეთ „ნორმათა" სფეროში და დაგვავიწყდა, რომ ჩვენი „კონტრაგენტები" უფრო ფაქტებს უწევენ ანგარიშს. გამოგვადგება-კი დიპლომატიური მოლაპარაკება აზერბაიჯანთან, რომელსაც საერთაშორისო კონტროლი და ზედამხედველობა თუ უშველის რამეს?!

ზაქათლის ოლქის საკითხმა საკმაო გაკვეთილი მოგვცა და არა მგონია ამის შემდგომ „საქართველოს მმართველობა ხელ ახლა შეუდგეს უნაყოფო „ნოტების" წერას.

ნურავის ეგონება, რომ მე საქართველოს მთავრობას მოვუწოდებ მიიღოს აგრესიული ზომები აზერბაიჯანის წინააღმდეგ. სრულებითაც არა! ამისთვის ყოველ შემთხვევაში საბაბიც არ არის. ჩემს მიერ გამოთქმული აზრი მარტივია: მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა „ქაღალდების" უზომო ამუშავების უშედეგობაში და ამ შემთხვევაშიც მე ძლიერ ვშიშობ, რომ მიწერ მოწერილ ქაღალდების გროვამ ქვეშ არ მოიყოლოს უდების საკითხი ისევე, როგორ უდროოდ დასამარდა ბევრი სხვა ამგვარი საკითხი.

უდებს უნდა ვუშველოთ! მთელი ჩვენი წარსული ისტორია, ჩვენი ტრადიციები და დამოკიდებულება იმ ხალხთან, რომლის მცირედი, მართლაც „სამუზეუმო ნაწილი" დღეს შერჩენილა ძველს ალბანეთში, ის ფსიქოლოგიური ნათესაობა, რომელსაც ქართველები და უდები მჭიდროდ დაუკავშირებია ერთმანეთთან,—ყველა ეს უნდა გვიკარნახებდეს დროზე მივხედოთ დაჩაგრულ ძმებს და ავაცდინოთ მათ ნამდვილი ფიზიკური განადგურება გამხეცებული თათრის ურდოებისაგან.

რ. ენგილო

თურქესტანი

უკანასკნელ ხანებში თურქესტანიდან ჩამოსულმა პირმა შემდეგი საყურადღებო ცნობები გადასცა „საქართველოს“ თანამშრომელს: „ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თურქესტანის საბჭოთა მთავრობა საოცარის უსამართლობით მოეპყრო სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთა და განსაკუთრებით კი ქართველობას. ადგილობრივი ბოლშევიკური წესები და განკარგულებანი: რეკვიზიციისა, კონფისკაციისა და სოციალიზაციის. მეთოდებითა და აგრეთვე ხშირი მობილიზაცია უმთავრესად უცხო სახელმწიფოების მოქალაქეებზე ვრცელდებოდა; მათ შორის ყველაზე უფრო შევიწროებული იყვნენ ქართველები, რომლებმაც ყოველდღიურ პურის ფასში დაჰყიდეს რაც კი გააჩნდათ და დღეს სიმშილს განიცდიან. მრავალ მათგანს ჰსურს სამშობლოში წამოსვლა, მაგრამ სახსარი არ აქვთ. უსაქმოდ არავინ არ არის, ყველა სამსახურშია და ხელფასი საშუალოდ აღწევს 3000 6500 მანეთამდე. იმ საშინელი სიძვირეში, რომელიც დღეს თურქესტანში არსებობს ასეთი თანხა სავსებით ვერ უზრუნველჰყოფს ადამიანს. კომისრები და საერთოდ ადგილობრივი მართველობა უმთავრესად სპეკულიაციით სცხოვრობს. სურსათის საკითხი მწვავედ სდგას. სამი თვის წინად სრულებით არ იშოვებოდა პური და უკანასკნელ ხანებში კი მხოლოდ ბავშვებს ეძლევათ. მანუფაქტურა სრულებით მოისპო ბოლშევიკების მართველობის შემდეგ. სავაჭროები ყველა დაკეტილია. მეჯოგეობა და მეცხვარეობა შემოსავალის მთავარი წყარო თურქესტანის მცხოვრებთა, მაგრამ გარდა საშინელი სიძვირისა, რეკვიზიციით შეშინებულმა მოქალაქემ თავისი საქონელი ჩინეთის საზღვარზე გარეკა. გათიბობის მხრით, ხომ მთელი ეს მხარე კრიზის განიცდის.

იანვრის გადატრიალებისას განსაკუთრებით ქართველები იქნენ სასტიკად დასჯილნი. მრავალი გამოჩენილი ქართველი დახვრიტეს, მათ შორის ცინცაძე, რომელმაც ააშენა მთელი თურქესტანში ცნობილი თეატრი კოლიზეი. დახვრიტეს აგრეთვე გენერალური შტაბის ოფიცერი გეგელაშვილი. ორივეს დარჩათ ერთობ კრიტიკულ მდგომარეობაში ცოლ შვილი, იანვრის გადატრიალების პროცესში თეთრ-არმიელებმა მოაწყვეს შეთქმულება ცნობილ ბოლშევიკის ოსიპოვის მეთაურობით, რომელმაც შემოიერთა ბევრი წითელ არმიელები. ბოლშევიკებმა მოახდინეს ყველა ძალების მობილიზაცია, უკანასკნელთ შემოუერთდა მენშევიკები და სამი დღის სისხლის მღვრელ ბრძოლის შემდეგ თეთრგვარდიელები დამარცხებულ იქნენ.

ამას მოჰყვა საშინელი რეპრესიები, სადაც მრავალი უდანაშაულო გამოჩენილი პირები შეიქმნენ მსხვერპლათ.

ამ ანარქიის დროს ერთმეორეს ცვლიდენ სხვა და სხვა ძალები. თურქესტანის მართველი ძალები, რომელნიც თავიანთ თავს ბოლშევიკებს უძახოდენ, ნამდვილად არც კომუნისტები იყვნენ და არც უბრალო სოციალისტები. შემადგენლობით მათში იყო მხოლოდ ან ბურჟუაზიული ელემენტები ან და რელიგიური ფანატიზმით გაჟღენთილი მუსულმანები. ცნობილი „აღმოსავლეთის“ საკითხი, რაც აგრე ერთბაშად მიისაკუთრეს ბოლშევიკებმა, მხოლოდ იმ მოსაზრებით არის წამოყენებული, რომ აღმოსავლეთიდან ყველაფერი დამშეულ რუსეთში გაიტანონ. აღმოსავლეთის საკითხის გადამჭრელ მთავარ ბაზად ბოლშევიკებს თურქესტანი მიაჩნიათ. ერთხელ თურქესტანში შესდგა საოლქო საბჭოთა დელეგატების ყრილობა, სადაც მოწვეულ იქნა 42 ინდოელი რევოლიუციონერი; დელეგატები არაჩვეულებრივი ცერემონიებით იქნა მიღებული, მაგრამ საკვირველი იყო, ინდოელი რევოლიუციონერების განცხადება: ჩვენ თანაუგრძნობთ კომუნიზმს, მაგრამ ამ მოძღვრებას გავავრცელებთ არა იარაღით, არამედ პროპაგანდის ძალითო.

დღეს მთელ თურქესტანში სცხოვრობს 3,000 მდე ქართველი, რომელთაც სამშობლოში ჰსურთ დაბრუნება. ტაშკენტის ქართველი საზოგადოების ლეგალიზაცია მოხდა, მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ზავის შემდეგ.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია იმერეთში.

შორაპნის სადგურზე შეგროვილ ხალხს ჰიუისმანსმა მიმართა შემდეგ სიტყვით: „ჩვენ მოვედით შორიდან, იმისათვის, რომ გავიგოთ ადგილობრივათ თქვენი ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკურ-ეკონომიური აღმშენებლობა, თუ რა გაქვთ თქვენ და რისი შექმნა შეგიძლიათ მომავალში, და ჩვენ გაკვირვებული ვართ თქვენი შრომით, განცვიფრებული ვართ, რომ მთელი ერი გაჟღენთილია სოციალიზმით და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიას არ აქვს ფეხი მოკიდებული და სასოფლო მეურნეობა შეადგენს უმთავრეს დარგს. ჩვენ დავიარეთ თქვენი ქვეყნის მშვენიერი ბუნება და სასიხარულოა როცა თქვენ მიყვებით ჩვენ გზას. როცა უარყოფთ ტერორის და უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობის გზას თუ ეკონომიურ მდგომარეობის მხრით საქართველომ უნდა ისწავლოს ჩვენგნით სამაგიეროთ პოლიტიკურ აღმშენებლობაში ჩვენ უნდა გადავიღოთ თქვენგან. ჩვენი ქვეყნები ორივე დემოკრატიულია. ჩვენ დავიწყეთ ეკონომიურ ცხოვრების გადაქმნიდან, თქვენ კი შეუდექით პოლიტიკურ ცხოვრების განახლებიდან და ასე ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ერთი მიზნისაკენ.

ჩვენი ქვეყანა მოფენილია ქარხნებით, ჩვენ ვიმყოფებით ინდუსტრიის განვითარების ხანაში და თქვენი ხალხის ოდენა პოლიტიკური მომზადება რომ ქონდეს ჩვენ ხალხს, მაშინ სოციალიზმის განხორციელების დაწყება არც ისე ძნელი საქმე იქნება.“

ქიათურის მუშებს დელეგაციის სახელით მიესალმა ემილ ვანდერველდე:

„მე 10 წლის განმავლობაში ვიყავი მაღაროს მუშათა დეპუტატი და დღეს, როცა აქ ვარ მაღაროს მუშებში, როცა ვათვალიერებ თქვენ ორგანიზაციას, მე თვალ წინ მიდგას ჩვენი მიზნების ერთიანობა, რომ ჩვენ ვემსახურებით ერთ იდეალებს და ეს სურათებიც, ყველა ქვეყნის სოციალისტურ მოღვაწეთა, რომ ამშვენებენ თქვენ ორგანიზაციას, ამტკიცებს ჩვენი მუშაობის სოლიდარობას“.

შოუს სიტყვა.

თქვენ ხართ ჩვენთვის არა მარტო ერი არამედ ახალი გამოცდილება, რომელსაც შეყურებს მთელი ევროპის მუშათა კლასი. თქვენს გვერდით არის მეორე გამოცდილება, მეორე მაგალითი. მემოვიარე რუსეთი და ვეცდები შევადარო ორი სისტემა ერთმანეთს, მე ვიტყვი რუსეთის კარგ თვისებებზე და ცუდზეც. კარგია ის, რომ ზრუნავს მოხუცებზე და ახალგაზრდობის აღზრდაზე, მარა ამით თავდება საბჭოთა რუსეთის დადებითი მხარეები. მე ღრმად მწამს, რომ უდემოკრატიზმოთ შეუძლებელია სოციალიზმი, ხოლო დემოკრატიზმი გულისხმობს სრულ თავისუფლებას. პეტროგრადის და მოსკოვის მუშები შიმშილობენ, ორივე ქალაქი კვდება. მუშა ღებულობს ერთ მეოთხედს იმისას, რაც მის საზრდოთ საჭიროა, თქვენ არ შეგიძლიანთ გამოსთქვათ აზრი თუ კომუნისტი არა ხართ, თუ კომუნისტებს არ უჭერთ მხარს, თუ თუ მათგან არ ღებულობ ნებართვას. და აი, ამავე დროს საქართველოში რას ვხედავთ. პირობები შედარებით ერთნაირი იყო რუსეთში და საქართველოში; აქ ჩვენ ვნახეთ თავისუფალი ადამიანი, აქ ჩვენ ვნახეთ კრების, ბეჭვდის და სინიდისის თავისუფლება, თქვენი ქვეყანა არის ბუნებით მდიდარი და ხალხი ორგანიზაციაში გამობრძმედილი, ეს ბადებს იმედებს, რომ ახლო მომავალში თქვენ ეკონომიურათ წინ წახვალთ.

და როცა მივალთ ინგლისში, უნდა დავსვათ იქ კითხვა მუშათა წინაშე რომელ გზას გავყვეთ, რუსეთის ტირანიას, ძალდატანებას, თუ თავისუფალ საქართველოს, მე კი ვეტყვი—ჩვენ უნდა გავყვეთ საქართველოს გზას. ინგლისში 61 ნახ. მილიონი მუშაა შეკავშირებული, ჩვენში, მართალია ასე სწრაფად არ შედის თავისუფლების იდეები, მაგრამ რაკი ერთხელ ჩაებეჭდება ინგლისელს თავში ეს აზრი, ის შემდეგ დაიცავს მას და ვიქრობ, რომ 10 წლის განმავლობაში ინგლისშიც მუშათა მთავრობას ექნება ადგილი. ამავე დროს დემოკრატიის გზას გაჰყვება სხვა ქვეყნებიც. მოვა სოციალიზმი და მისცემს კაცობრიობას იმას, რაც არ მიუცია არც ერთ დროს და არც ერთ კლასს. მუშათა კლასი გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს ინტერნაციონალი“ შოუს შემდეგ ლაპარაკობს ფრანგი რენოდელი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „1914 წელს, როცა ჰაერში თოფის წამლის სუნი იდგა, როცა ომი უნდა დაწყებულიყო ინტერნაციონალი შეეცადა ხელი შეეშალა გაბატონებულ კლასებისათვის სისხლის ღვრის მოწყობაში 9 აგვისტოს დანიშნული იყო ვენაში კონგრესი, სადაც დასმული იყო ეს საკითხი. მარა იმპერიალისტებმა შესძლეს ომის დაწყება, 2 აგვისტოს უკვე სამხარი მოქმედება გაჩაღდა. სხვა და სხვა ქვეყნებში მუშები მოუმზადებელნი გამოდგნენ ომის შესაჩერებლად. მარა ამ ხუთი წლის ომის მსვლელობამ გამოაღვიძა თვით ჩამორჩენილი ერების მუშებიც და ელა ყველა უფროხის ომს. დამთავრდა იდი ომი მარა მისი შესაძლებლობა ჯერ არ მოსპობილა. მაღაროს მუშები გააქთრებული ენერგიით იბრძვის მის წინააღმდეგ. ამას წინეთ ჟენევაში საერთაშორისო მაღაროს მუშათა კონგრესი იყო, სადაც სთქვეს: „ნახშირი შეადგენს ომის პურს და თუ კაპიტალისტებმა კიდევ გაბედეს ომის დაწყება, ჩვენ დავამშევთ ომს, არ მივსცემთ ნახშირს“ და თქვენც, ამხანაგო მუშებო, ხელი-ხელ ჩაკიდებული წავალთ ამ მთელი ქვეყნის მაღაროს მუშებთან ერთად. ტრიბუნზე ადის ვანდერველდე რომელსაც მქუხარებით ხვდება ხალხი. ის სხვათა შორის ამბობს: აი ეს შავი ქვა, ეს მაღაროები არის შემაკავშირებელი ჩვენი. მე მინდა თქვენ იცოდეთ იმ ამხანაგების შესახებ, რომელნიც ამუშავებენ აქედან გაგზავნილ შავ ქვას. იქ ამ მასალას ამუშავებენ ჩვენი ამხანაგი მუშა სოციალისტები. ისინი იბრძვიან 8 საათის სამუშაო დღისათვის, ისინი იბრძვიან შრომის პირობების გაუმჯობესებლად. თავის მოვალეობას ისინი ასრულებენ პატიოსათ შრომობენ, რომ შრომის საძირკველი ჩაუყარონ მომავალ წყობილებას. დღეს ამ შავი ქვით მზადდებოდა ზარბაზნები და ყუმბარები, ჯავშნოსანი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რომლითაც კაპიტალისტები ანგრევდენ ქვეყანას, დღეიდან კი მუშათა კლასი არ დაუშვებს იმს და ამ თქვენი შრომის ნაყოფით ისარგებლებს მთელი დემოკრატია ხომალდების ასაშენებლად, რკინის გზების გაყვანათ, ბინებას ასაგებათ და საერთოთ ქვეყნის გასაბედნიერებლად (ს. დ. ს.)

ქუთაისიდან

შაბათს 25 ენკენისთვეს ქუთაისს ესტუმრენ „ევროპ. სოციალ. დელეგაციის“ წევრები. ქუთაისის სოც.-დემოკრატების წრე გადასულობას აქ არ ჰქონია საზღვარი. იმდენათ უხერხული გახდა თავშეუკავებლობა და თავდავიწყება ქუთაისის სოციალისტებისა, რომ თვით ვანდერველდეც კი ერთ ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და დელეგაციის სხვა წევრებს თან ერთად ვერ გრძნობდა თავს, მაინცა და მაინც, თავისუფლად. ქ. დათეშიძის ხის საწყობი ამ დღისათვის დაიცალა და ეს რომ არ ეყოთ სხვათა საწყობებს მიმართეს. სადგურზე თაღი, ქალაქის ბაღთან თაღი, ოც ნაბიჯზე ქ. გამგეობისაკენ კიდევ თაღი ე. ი. პატარა ქუთაისის ყველა ქუჩებზე, სადაც კი ფეხს დაადგამდა რომელიმე მოსულთაგანი, ყველგან თაღები იყო გაკეთებული. და რაც ფოთლები და მწვანეულობა შერჩენოდა ქუთაისს ამ შემოდგომის დაწყებისას ან „ფერმ ს კლასს“ თუ რამე გზა და გირლიანდები გააჩნდა ყველა გამოტანილი იყო ქუჩებზე. არ იყო არც ერთი ძველი დამპალი თუ წაბიძგული სვეტი, სადგურზე, ქუჩებზე სახლების ქუჩის ჰაიენებზე და ქალაქის გამგეობის შენობასთან რომ სოც. დემოკრ. თავისი საკუთარი ხელით არ შეეკაზმათ მოსულთა საპატივცემლოთ.

ეს ცოტაა: ამ დღისათვის სასტიკი ბრძანება იყო გამოცემული და სასტიკ მეთვალყურეთა მიერ სასტიკათ დაცული, რომ არც ერთი მაღაზია, სამკერვალო, თუ სავაჭრო, არც ერთი რესტორანი, არც ერთი სასტუმრო, სამზარეულოც კი ღიათ არ ყოფილიყო და არ ემუშავნა. დიდ, ქუთაისის ქალ. გამგეობამ სასტიკათ აკრძალა როგორც მუშაობა და შრომა ისედაც გაღარიბებულ ქალაქში ისე სმა-ჭამა ყველა მისთვის ვისაც ქუთაისში ბინადრობა არ ქონდა. არც ერთ მოსულს ქუთაისში და სასტუმროში დაბინავებულს შაბათს 25 ენკენისთვეს სადილი და ვახშამი არ უჭამია. ცენტრში გაიმართა დაუსრულებელი მიტინგი, თავისი გაცნობებით და წარდგენით. დუქნებიდან ძალით გაყრილი და სახელოსნოებიდან იძულებით გასულნი უნებურათ თავმოყრილი იყვნენ ბაღთან და რადგან ყოველი სხვა საქმე ქალაქში სასტიკათ აკრძალული იყო სოც.-დემკ. მიერ. არაის არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ბაღთან გასულიყო,

მაგრამ მიტინგის დაწყებამდე ე. ი. 3 ნახ. საათამდე ქალაქი მკვდარი იყო; მიტინგის დაშლისას გაცოცხლებულა იგი, არავითარი სიცოცხლის ნიშან წყალი ქალაქს არ ეტყობოდა. არსად გარჯა, მუშაობა, არსად შრომა და მოძრაობა არ იყო.

როგორც ნაცნობებმა გადმომცეს „ევროპ. სოც. დელეგ.“ წევრს ვანდერველდეს კიდეც უთქვამს: „ჩვენ გვაინტერესებდა ცხოვრება გვენახა ქალაქისა და თქვენ კი ყველაფერი შეგიჩერებიათო“. ხალხიც ძალიან უკმაყოფილოა აგეთ „თამაშობის“ გამო (აგრე უძახიან დახვედრას), მშობლები უკმაყოფილონი არიან პატარა მოწაფეების გზებში საათობით გამოყენების გამო, სტუმრებიც უკმაყოფილონი უნდა იყვნენ ქალაქს ეგრე მკვდრათ „ზეიმის“ სახით რაღაც ბუტაფორიით შეხვედრის გამო. კმაყოფილნი არიან მხოლოდ სოც.-დემოკრატები და მათი პარტიული ამხანაგები, რადგან ერთი დღე მეტი გააცუდინეს და ერთი დღე მეტი იზარმაცეს.

ქუთაისელი.

ჩვენი კორესპონდენტები

ცხინვალი.

ცხინვალის თემის გამგეობის წევრებს ვადა გასდით და ახალი არჩევნები უნდა მოხდეს ახლო მომავალში, აგრეთვე ხმოსნებისაცა. როგორც ყველა თემებში, თითქმის, აქაც, ცხინვალის თემში, ერიდებიან აირჩიონ ინტელიგენტი კაცები. ნასწავლმა ხალხმა ამოსწყვიტა ქვეყანაო,—აი რა ხმა გაისმის ხალხში. აგრეთვე დიდად ერიდებიან სხვა პარტიის კაცების ყოლასა, გარდა სოც.-დემოკრატიისა. აქ კი ყველანი გასოციალ დემოკრატეს; შაქრო გოგიჩაშვილი გადამდგარია ამ საქმეზე, რომ ყველას ლიახვისსოციალ-დემოკრატიის წიგნაკები შეასმინოს, რათა მთლად გასოციალდემოკრატდეს აქეთა მხარე. ასეთი ენერგიული მუშაობისათვის სოციალდემოკრატები ქების ღირსნი არიან, სხვა პარტიები აქეთ არავინ მუშაობენ, — არჩევნების დროსაც კი არავინ მოდის სხვა პარტიის ხალხი, რადგან ეს მხარე უკვე დაპყრობილია მათგან...

ცხინვალის მომავალი.

ცხინვალი ბაზარი ადგილია დიდი და პატარა და ფრონის ხეობებისა, სავაჭრო და საადმინისტრაციო პუნქტია, მეტადრე სავაჭრო, რომელიც თვისი ცოცხალი და ბარაქიანი ვაჭრებით ქ. გორს არ ჩამოურჩება. მაგრამ ახლა კი სურათი იცვლება, ოსებში, რომლებიც აქ ცხინვალში მოეზიდებოდნენ თავიანთ მეურნეობის ნაწარმოებს, ყველს, ერბოს, მატყლს, ტყავეულობას, საკლავ საქონელს, ცხვარს, ღორს, ძროხას, ხარს და ტყის მასალას და სხ. ქართველები ჰინახულს და ერთმანეთში ვაჭრობდნენ, ერთმანეთისაგან ნაკლს ივსებდნენ, დღეს ეს ყველაფერი მოისპო.

ოსები აჰყარეს; ნაწილი გადარეკეს მთის იქით, ნაწილი ტყეებში იმალებიან და ნაწილი დარჩენილ ოსის მოსახლეებთან არიან შეხიზნული უნებართვოთ, ვისაც ნება აქვთ აქ ცხოვრებისა, მათაც აღარა გააჩნიათრა, მათი ცხოვრება დატაცებული და განადგურებულია. აუარებელი საქონელი ყველა ჯიშისა და მოდგმისა გარეკილია ოსების სოფლებიდგან, ყველამ ისარგებლა ამ საქონლით და საცხოვრებლით უკან არავინ ჩამორჩა, გარდა საწყალი ხალხისა, ეს ამდენა სიმდიდრე ჩაინთქა და დღეს თუ ცხინვალის ბაზარზე ჯერ კიდევ მშვენიერი ძროხის და დეკეულის ხორცი გირვანქა სამ თუმნად იყიდება, ეს დატაცებული და გადამალული საქონლისაა, მოვა ახლო მომავალში დრო, როცა ცხინვალი საკლავით დაიმშევა— და ის ღორებიც რომელიც ქართველებს ჰყავთ, ახლავე სპეკულიანტები გაირეკენ და შემდეგ ცხინვალში აღარაფერი იქნება: აღარც ხორცი, აღარ ყველი, ერბო, ქათამი, კვერცხი და სხვა. ვერ მოუარა ცხინვალის თემის გამგეობამ ამ სიმდიდრეს, ვერ შესძლო შეექმნა ორგანიზაცია, რომ თავისი ქონებრივი მდგომარეობა მაინც გაემაგრებინა. ექვსი თვეა ჯამაგირები არ მიუღიათ, და უთვალავმა მილიარდების ქონებამ კი მათ ცხვირ წინ გაიარა. აღარ შემოვა მშვენიერი ოსური კარტოფილი, რომელიც თბილისის ბაზარზედაც უხვად მოდიოდა და თითქმის, თბილისი ოსური კართოფილით იკვებებოდა, მრავალი კართოფილით ნათესი მთის ფერდობები გაუთოხნავი დარჩა და წახდა. წელს კი იმდონი ნათესი იყო კართოფილისა, რომ მთელ თბილის თამამად ეყოფოდა. გაოხრდა და გაილეწა საქონლისა და ხალხის ფეხით სიმინდი, პური და ქერი. შესეული სხვა და სხვა ჯურის ხალხი ერთმანერთს ეცილებოდნენ ჰინახულის არჩევაში და მომკაში, და მომცდარ ჰინახულების გადაზიდვაში და განადგურებაში. ყველაფერი ეს გათავდა. ჰინახული მოხვეჭა ადგილობრივმა მეზობელმა სოფლებმა. გორის სამაზრო ერობამ გვარდიამ, მუშათა კავშირებმა, ქალაქელმა ხაბაზებმა, ჯარმა, ტყის ყარაულებმა და მოურავმა (ლესნიჩიმა) მილიციონერებმა და კერძო ყაჩაღმა ხალხმა და ბოლოს რკინის გზელებმა რომლებიც მოვიდოდნენ კართოფილზე.

ამ ოსების სოფლებში არის აუარებელი ხილი, ესეც მიდის ხელიდგან, არც ცხინვალის თემს და არც სხვას ვისმე დაწესებულებას არ შეუძლიან ამ აუარებელი ხილის მოვლა. ცვივა ძირს და ლპება. ოსები პურზე სცვლიდნენ ხოლმე ხილს ბაზარში. ახლა ის მრავალი მთის მაღლა დოვლეთის მშვენიერი ქერით ნათესი ნიწების მომვლელი ვიღა იქნება? ძალიან კი პირი უჩანს, აქაური სალუდე ქერის მოსავალი სახუმრო ის არის. მაღლა დოვლეთის ოსებს. ქერის მოსავალი ისეთი უხვი მოსდიოდათ, რომ ძველის ძველი ჰქონდათ შენახული, მარტო სიმინდს ყიდულობდნენ ხილით. სხვა სარჩო თითონ მოსდიოდათ: დიკა, კარტოფილი, მალე ამ ქერებზე რთვილს დასდებს, თოვლი დაიტანს და განადგურდება, ვადევნებთ რა ყველა ამას თვალ ყურს ჯერ ამ ქერის მომვლელ პატრონი არავინა სჩანს, გული გიკვდება მეურნეს, როცა ჰხედავ მოსავალის განადგურებას.

გადმოსახლებულები.

ჯავაში და მის მიდამოში 65 კომლამდე მოხევე, მთიული, გუდამყრელი მოვიდა გადმოსასახლებლად. მუშაობენ ბეჯითად მაგრამ გული არ უდგებათ აქ, რადგან ხელს ვერ უწყობს მმართველობა სამყოფი სამუშაო საქონლით. სამეურნეო იარაღით, ბინებით და სხვა რამით. გარდა ამისა მოთიბულ ყანებს უკან ართმევენ დასახლებას ნება დართული ოსები და სხვანი, სხვა და სხვა უფლებით მოსულნი პირნი. ჯერ ვერ მიუჩინეს გადმოსახლებულებს სამკვიდროთ მამულები და კარ ფანჯარა ჩამოხსნილი სახლები, სახლებს დაშლა და წაღება დღესაც სწარმოებს და ყველა ეს სანახაობა გადმოსახლებულებს გულს უცრუებს აქ დადგომაზე. ამათგან კი იმედია, რომ თუ კი ესენი დასახლდებიან ცხინვალი ისევ ცხინვალი იქნება, როგორც სავაჭრო პუნქტი.

ცხინვალის თემის უდიდესი დაუდევრობა.

ცხინვალის თემს მისცა წინადადება აქაურმა ნასწავლმა მეურნე მასწავლებელმა კვანჭახაძემ ოსების ძროხებით ესარგებლა თემსა და მერძეობის ფერმა დაეარსებინა წუნარში, ჯერ თითქო ისიამოვნეს ეს განცხადება, მაგრამ მერე ყური აღარ ათხოვეს და ეს ამოდენა ათას ხუთს სულამდე ძროხა გაიფანტა მთელი საქართველოში, სადაც ბევრგან დაიხოცა ქვეყნის შეუფერებლობის გამო დიახ, აქ ნასწავლმა კაცებმა კი არ ჩაიდინეს ეს დანაშაულობა, არამედ უსწავლელებმა და გამოუცდელებმა.

ა. ლ.

მოქალაქეთა რიგისტრაცია.

კანონების გადამსინჯავმა კომისიამ მოქალაქეთა რეგისტრაციის შესახებ შემდეგი პროექტი შეიმუშავა: კანონ პროექტით დაბადება, ქორწილი და სიკვდილი აღინიშნება მეტრიკულ წიგნში, რომლებსაც აწარმოებს ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციები. დაბადება, ქორწილი და სიკვდილი უნდა აუწყოს სათანადო დაწესებულებებს მშობლებმა, ნათესავებმა მეზობლებმა და თუ ასეთები მათ არა ყავთ ბინის, სახლის მეპატრონეებმა და დაწესებულების უფროსებმა. ქორწილის შესახებ განცხადება თვით ჯვარდაწერილებმა უნდა შეიტანონ. წიგნს ამის შესახებ ორ ეგზემპლიარში აწარმოებენ. მეორე ეგზემპლიარი გადაეცემა ნოტარიუსის არქივებს, რომელიც სასამართლოებს ექვემდებარება. არქივებმა და სხვა ორგანოებმა დაინტერესებულ პირთ უნდა მისცენ დაწვრილებითი ამოწერილობა. ამასთანავე დაბადების, ქორწილის და სიკვდილის ყოველ შემთხვევაში შედგენილ იქნება სტატისტიკური ბარათი და შემდეგ ეს ბარათი გადაეგზავნება სტატისტიკურ კომიტეტს. დაბადების, ქორწილის და სიკვდილის კანონიერი დამამტკ[illegible]რიკულ წიგნიდან ამოწერილობა [illegible] სარწმუნოების სამღვდელოებას ეკრძალება მღვდელ-მსახურების შესრულება იმ პირების მიმართ, რომელთა შესახებაც კანონიერი სარეგისტრაციო ცნობები არ იქნება წარმოდგენილი. ამ საქმების დამნაშავენი, დაისჯებიან სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით. არსებული კანონები, რომელიც ამ კანონს ეწინააღმდეგება უქმდება. ამ კანონის ძალაში შესვლის დროს განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მხოლოდ კანონი ძალაში უნდა შევიდეს დამფუძნებელ კრების მიერ მიღების შემდეგ არა უგვიანეს 6 თვისა.

ღია წერილი.

თელავის მაზრის მილიციის უფროსს ბ. ანდღულაძეს.

რვა სექტემბერს ა. წ. მე თქვენ კერძო წერილით მოგმართეთ და მოვითხოვდი თქვენგან პასუხს. თქვენ მე წერილობით არ მიპასუხეთ-კერძო ლაპარაკიდან კი მე ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანე, რადგან თქვენს პასუხში არ იყო აღნიშნული მიზეზი ჩემი დატუსაღებისა—ამისთვის იძულებული ვარ გაზეთის საშვალებით მოგთხოვოთ, ან კერძო წერილით, ან გაზეთით თუნდა „საქართველოს რესპუბლიკით“, გამცეთ პასუხი შემდეგ კითხვებზედ: რა ბრალს მდებთ? გქონდათ რაიმე საბუთები ჩემი დატუსაღებისა და თუ არ გქონდათ, რა უფლებით ისარგებლეთ, როდესაც დამატუსაღეთ? და დამიმტკიცებთ თუ არა იმ ბრალდებას, რომელიც თქვენ პირდაპირ მე თელავის ერობის გამგეობის თავმჯ. ლევ. ვახვახიშვილთან წამომიყენეთ?

ს ფშაველის სკოლის გამგე
ევგ. დალაქიშვილი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი
სტუდენტი იღებს
გაკვეთილებს
იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე. უფ.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო [illegible] თალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ქიით ცხვრის სახულე—მილის ავათმყოფობას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.
ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 43

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესისთვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. 3101. 15—13

ფორტეპიანის კლასი
ია. ლ. პორტუგალოვის
მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე. 10—3130—7

საჭიროა
მოსამსახურე ქალი.
მოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—7—